


5-67



ყოველ-კვირეული ჟურნალი

№ 18

წელიწადი 2006



ბიუჯეტი №	
მომხდ. №	
გაყიდვა №	
საგანი №	
დანიშნულება №	977/1

ფასი 10 კპპ.

მორთხორვეთ კორკვერკათიული რკვე

≡ „**ლილილილი**“ ≡

კორკვერკათიული  
მორთხორვეთ

მორთხორვეთ ამხანაგობა „ლილილილი“ თხუისი ნამდვილი და ჭიჭიენური რძით მოიხორვა კარ-  
გი ბაზარი და ხელა ბუართოვეებს თხუის სექვეებს, რითაც შეძლება მიყვა მსურველთ  
მიწოდოს სუკეთესო რძე ბინახედ, ცხლკე დაბეჭდილ ჭურჭელით.

რძის დავეთა შეიძლება შემდეგ ადგილებს: რედაქცია „კლდე“ Габаевский пер. № 3. და  
ქართულ სამეურნეო საზოგადოების მდივანთან: Барятинская 5.

ფრანგულ-კავკასიური  
საეატრო და სამრეწველო ბიურო

„**იპერია**“ კარნიზი

≡ იძლევა ყოველ გვარ ცნობას,  
ჭეიდის მადნეულობას და სხ. ≡

ადრეხი: Paris Faubourg Montmartre 10

33(05)  
5-67



№ 18

28 აპრილი 1913 წ.

მიიღება ხელის მფლობელთათვის  
1 წლ., — 5 მან. 6 თვ. — 2 მ.  
75 კ., 3 თვ. — 1 მ. 50 კ., 1  
თვ. — 50 კ. სოფლის მასწავლე-  
ბელთ, სამკითხველოებს და  
უმალლეს სასწავლებლებში მო-  
სწავლეთ დაეთმობათ 4 მან.



ქრველ კვირული საზოგადო. ეკონომ.

მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 10 — 3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

სარჩევნი: საქართველოს ეკლესიის საუნჯე. — შ. ამი-  
რეჯიბისა. არგვარი მდგომარეობა. — ბერისა.  
წარსული, აწმყო და მომავალი ხიზნებისა. — აღ.  
ყიფშიძისა. ნუკრის სიკვდილი. — დ. კასრადისა.  
დაკავადებული დემოკრატიზმი. — რ. გ. — ესი. პატა-  
რა ციკლობი. — ფარსმან-ფარუხისა. აშაფვი გაქ-  
სუებულ ადამიანის და სამართულ გოგონასი. —  
ირ. სონღულაშვილისა.

მარტო ნიჭიერ ხუროთ-მოძღვრებს, იგი იყო  
ამასთანავე დიდი მიმდევარი მხატვრობისა.  
ჩვენამდისაც მოაღწიეს საუცხოვო ნახატებმა  
და ფრესკებმა.

ქართული ეკლესია იმ თავითვე მდიდა-  
რი მუხეუმი და წიგნთსაცავი იყო. ეკლესიაში  
იყრიდა თავს ოქრო და ვერცხლი, თვალ-მა-  
რგალიტი, შესანიშნავი საღვთისმეტყველო  
მწერლობა და მრავალი ნივთი, რომელთაც  
ფასდაუდებელი ისტორიული მნიშვნელო-  
ბა აქვთ. უკანასკნელ ხანებში მრავალი წიგ-  
ნი ეკლესიიდან მუხეუმებში გადავიდა, მაგ-  
რამ იქ დარჩა აუარებელი საუნჯე, რომე-  
ლიც მაჩვენებელია ოდესღაც გაძლიერებუ-  
ლის კულტურისა. გელათის მონასტერი, სი-  
ონის ტაძარი, ანჩისხატის ტაძარი, მარტვი-  
ლი, ალავერდი, შემოქმედი და სხვა მრავალი  
ეკლესია-მონასტრები იმდენ საეკლესიო საუ-  
ნჯეს ინახავენ თავიანთ კედლებში, რომელ-  
თა მნიშვნელობა მარტოოდენ ხელოვნების  
მხრივ — თავი რომ დავანებოთ ისტორიულ  
მნიშვნელობას, სიამაყე უნდა იყოს ქართვე-  
ლის ერისა.

### საქართველოს ეკლესიის საუნჯე

ეკლესია ერთი უდიდესი ფაქტორთაგანი  
იყო ძველის საქართველოსი. იგი იყო არა  
მარტო სავანე სარწმუნოებრივ ცხოვრებისა,  
ეკლესიაში თავს იყრიდა ყოველი დარგი კუ-  
ლტურისა. წირვის შემდეგ ეკლესია სკოლა  
იყო, სადაც ასწავლიდნენ წერაკითხვას, სხვა  
და სხ. საგნებს საერო და სასულიერ. და უმაღ-  
ლეს მეცნიერებასაც. იყალთოს მონასტრის  
და სხვა აკადემიები ამის მაჩვენებელია. ამას  
გარდა ეკლესია იყო ის დაწესებულება, რომ-  
ელიც სათავეში ედგა ქართულ ხელოვნებას.  
არბიტეტურა ქართულის ეკლესიისა ეხლაც  
განსაცვიფრებელია, საუნჯე, რომელიც მასში  
ინახება უდიდესი განძია ქართულ ეროვნულ  
კულტურისა. ეკლესია ასაზრდოვებდა არა

ხანულის ღვთის მშობლის ხატი გელათ-  
ში სიამაყეა ქართულის ხელოვნებისა. სი-  
ონში დაკრძალული შესამოსლები საქართვე-  
ლოს პარტრიარქთა, შესანიშნავნი არიან არა  
მარტო როგორც ისტორიული ნაშთები,  
ისინი შესანიშნავნი არიან აგრეთვე, როგორც

საუკეთესო ნიმუშნი ქსოვილებისა და ოქრომკედ-ნაკერებისა. ქართულ ხატების ემაღლები აკად. კონდაკოვის აზრით ხარისხით მაღლა დგანან, ვიდრე ბიზანტიის ემაღლები სიმრავლე და სიდიდე ძვირფას თვლებისა, რომლითაც მოჭედდებოდა ქართული ხატები— პირდაპირ განსაცვიფრებელია და ზოგი მათგანი პირდაპირ უნიკებად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად ხახულის ღვთის მშობლის ხატს ამშვენებენ ის თვლები, რომლებთანაც გადაბმულია ერთი საუცხოვო თქმულება თამარ-მეფის შესახებ. მაგრამ ყველას აქ ვერ ჩამოვთვლით, საკმარისია მარტო ისიც, რომ ქართულ ეკლესიებს და მონასტრებს ყველა განცვიფრებაში მოჰყავდა სიმდიდრით და ხელოვნების ნიმუშთა სიმრავლით. საიდან მოიყარა თავი ეკლესიებში ამოდენა სიმდიდრემ? ვინ შეჰქმნა ეს საუკეთესო ნიმუშნი ხელოვნებისა და მეცნიერებისა? მთელმა ხალხმა, განურჩევლად მდგომარეობისა, მისმა მეცნიერებმა, მისმა ხელოვნებმა. უბედურების ჟამს ხალხი ეკლესიებში ინახავდა თავის საუნჯეს და გამარჯვებულებსაც ისევ ეკლესიაში მიჰქონდათ ძვირფასი ნადავლი. ამიტომ იგი ეხლაც ქართველებს ეკუთვნის, მისი პატრონი მთელი ერია.

ეხლა, როდესაც რუსეთის სასულიერო მთავრობას სურს საბოლოოდ მოსპოს საქართველოს ეკლესიის თვით-არსებობა, ძალაუნებურად იბადება აზრი, რა ბედი ეწევა ქართველ ერის სულიერ კულტურის მაჩვენებელ საუნჯეს? ექვი არ არის იგი წავა მის ხელიდან. ქართული ეკლესიები დაცარიელდებიან და საუკეთესო ნიმუშები ქართულის ხელოვნებისა სატახტო ქალაქთა მუზეუმებში ამოჰყოფენ თავს. ამას ვამბობთ არა იმიტომ, რომ განზრახ განვაცხოველოთ მოსალოდნელი შიში. ამის მაგალითები უკვე გვაქვს. ქართულ ეკლესიის ცარცვა უკვე დიდი ხანია დაიწყო და მისი საუნჯენიც დღითი დღე კლებულობენ. მარტო კავალენსკიმ, საქართველოს პირველმა გამგებელმა, იმოდენა საუნჯე გაზიდა საქართველოდან, რომ მისი მემკვიდრეები ეხლაც უმდიდრეს კოლექციონერებად ითვლებიან რუსეთში. გუბერნატორ ლევაშოვის საქციელი ყველას ახსოვს და ცხადია ამასვე სჩა-

დიოდნენ სხვა პირნიც, რომელთაც ყოველთვის ჰქონდათ საშუალება ცარცვა-გლეჯისა.

თუ ასე ხდებოდა მაშინ <sup>ეკლესიის</sup> ამის უფლება არა ჰქონდათ, რაღა <sup>შეჰქმნებდა</sup> მაშინ, როცა მომავალი კრება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას მოსპობს და საბოლოოდ დაუქვემდებარებს რუსულ ეკლესიას.

უკვე ეხლავე გვაქვს იმის მაგალითები, რომ როცა რუსები რომელიმე ეკლესიას აახლებენ სრულიად უცვლიან წმინდა ქართულ ელფერს და უკვე საფარის მონასტერია მაგალითი, რომელსაც წმინდა ქართული გუმბათის მაგიერ მორგვალეული რუსული გუმბათი დაადგეს. ცხადია, რაკი ეკლესიათა შეერთება ფაქტი იქმნება, სასულიერო მთავრობა ყველა ეკლესიების განახლებას შეუდგება და იმას გარდა, რომ მრავალ მათგანს რუსულად გამოაცხადებს, არხიტექტურასაც შეუცვლის. ამ რიგად ბიუროკრატიულ აქტის საშუალებით, ერთის ხელის მოსმით სრულიად მოსპობენ მდიდარ და შესანიშნავ ქართულ ხუროთ-მოძღვრების ძეგლებს და ამით საქართველო დაჰკარგავს თავის ორიგინალურ სახეს, იმ სახეს, რომელიც უანდერძა მას წარსულმა.

შ. ამირეჯიბი

### ორგვარი მდგომარეობა

ახლო მომავალში სწყდება ძველად ძველ, ისტორიულ ქართულ ეკლესიის ბედ-იღბალი. სწყდება საბოლოოდ მისი სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხი— მიენიჭოს მას ავტოკეფალურ ეკლესიის უფლებანი, ე. ი. ქართული ეკლესია იყოს თავისუფალი და თავის ბედის პატრონი, თუ გახდეს რუსეთის უწმინდეს სინოდის, ან „სასულიერო დეპარტამენტის“ ნაწილად.

ამიტომ გათვალისწინება იმისა, თუ რა მოვლის მას, როგორც პირველ ისე მეორე მდგომარეობაში, ჩვენთვის აუცილებელი ხდება.

ავტოკეფალია მოგვცემს თავისუფალ ქართულ ეკლესიას, თავისუფალ მოღვაწეობით და მოღვაწეებით. ყველა თავისუფალ რწმენის საკითხები გადაწყვეტილი იქნება თვით ავტოკეფალურ ქართულ

ეკლესიისაგან. ამას მოჰყვება აღორძინება ქართულ საეკლესიო სკოლებისა, სემინარიებისა, დაარსება საკუთარ სასულიერო აკადემიისა, სადაც დამკვიდრდება სამშობლო ენა; განვითარდება საეკლესიო და სასულიერო-კულტურული ცხოვრება; აყვავდებიან ქართული ეკლესიები, მონასტრები და აღდგენილი იქნებიან ჩვენი ძველი საეკლესიო ისტორიული ნაშთები; მასთან ერთად მოეწყობა თავისუფალი ცხოვრება ქართულ სამწყსოსი; აღორძინდება საეკლესიო ლიტერატურა და გამომცემლობა და ბევრი სხვა... ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებული იქნება 130.000,000-ან ქართულ საეკლესიო მამულების დაბრუნებაც.

მეორე შემთხვევაში, თუ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალურ უფლებათ საბოლოოდ ჩამოართმევენ, იგი შეუერთდება რუსეთის ეკლესიას და უწმინდეს სინოდის ხელქვეითი გახდება, და ქართულ ეკლესიას წაერთმევა ისიც კი, რაც აქამდის ჰქონდა. გაუქმდება ეგზარხატი. ქართული ეკლესიის ქონება ფაქტიურად და იურიდიულად უწმინდეს სინოდის საკუთრებად გახდება, ქართული ეკლესია ძალაუფლებურად დაჰკარგავს თავის სახეს, ინდივიდუალობას და ტრადიციებს. ქართულ ეკლესიებში შემოღებული იქნება სლავიანური წირვა-ლოცვა და გალობა. ქართველ მღვდლებს და ეპისკოპოზებს, როგორც უბრალო მოხელეებს გადაიყვანენ შიდა რუსეთში და მათ მაგივრად სამღვდლოებას რუსეთიდან მოიწვევენ, ქართულ მონასტრებს უცხო ბერებს ჩააბარებენ და სხვა და სხვა. ამ საშინელ ბოლოს უმზადებს რუსეთის საეკლესიო კრება, ბ. ვოსტორგოვის და მის გვარ „მამების“ ბელადობით მოწვეული, უძველეს ივერიის ეკლესიას და მის სამწყსოსს— ქართველ ხალხს.

ბერი.

## წარსული, აწმყო და მომავალი ხიზნობისა \*)

(გაგრძელება II კარისა)

ვიდრე დაწვრილებით განვიხილავთ, თუ რა მძლავრი და საიმედო მფარველობა აღმოუჩინა აღმინისტრაციამ ხიზნობას, საჭიროდ მიგვაჩნია გაკვრით მოვიხსენიოთ შემდეგი გარემოება.

\*) იხ. „კლდე“, №№ 13, 15, 16 და 17.

ქართლს გარს არტყია სამის მხრიდან კავკასიის ქედი, სურამისა და თრიალეთის მთები. თრიალეთი და მისი ტოტები ბორჯომის პირიდან უფლისამდე ეკუთვნის სამს დიდ გვარს: ციციშვილებს, თარხნიშვილებს და ჯავახიშვილებს. ბატონ-ყმობის გადავარდნის წინ ეს უზარ-მაზარი მთა და მისი ხეობანი თითქმის არ იყო დასახლებული. ის სამოციკომლი ხიზანი, რომელზედაც იოსებ ციციშვილი ლაპარაკობდა, ბარში სცხოვრობდა და გაბნეული იყო ბარის სოფლებში. სურამის ქედიც სუსტად იყო დასახლებული. შედარებით ღონივრად იყო დასახლებული კავკასიონის ქედი ხეობანი, ესრედ წოდებული სამაჩაბლო, გორის მაზრაში და საერისთვო გორისა და დუშეთის მაზრაში.

მთა \*\*) ძველად, როგორც ღღესა, დიდს გაქირვებას განიცდიდა, მუდამ მშვიერი იყო, რადგან მშვირი ბუნება და სტიქიონის სიავე ხორბლის მოსავალს ხელს არ უწყობდა. უბაროდ მთა შიმშილით ამოვარდებოდა. ხშირად ორის თვის სამყოფი ქერიც არ მოსდის ხოლმე მთიულს. ამ საცოდავ ჭინახულსაც ხან ნაადრევი ყინვები აფუჭებს ხან ნაადრევი თოვლი. ქერი შემოდის მარიაშობის თვის შუა რიცხვებში და სწორედ ამ დროს თოვლსაც ჩამოყრის ხოლმე კავკასიონზე. ხევსურეთი ღღესაც ისევეა მშვიერი, როგორც მეფე ერეკლეს დროს. ქართველი მეფენი მთას, საზრდოს გარდა, ტყვია-წამალსაც უგზავნიდნენ. მთაც უმადური არ იყო ბარისა და ამაგს უხდიდა ვაჟეაცობით ღ მხნეობით ომსა ღ ლაშქრობაში. ყველას მოეხსენება ამაგი დაღვაწლი ხევსურებისა, საქართველოს ამ შეუდარებელ და უბადლო იმიერ ქორომელთა. არც ამიერი (პირაქეთი) ოსეთი იყო უმადური თვის დედა (მეტროპოლია) ქართლისა. მკიდრო კავშირით იყო შეკავშირებული იგი ქართლის ბედთან და მუდამ იზიარებდა მის ჭირსა და ღბინსა. თუ ბარი საზრდოსა და საკვებს აძლევდა ოსეთს, ესეც იხდიდა ვალს პირადის მხნეობით, ლაშქარ-ომიანობაში მონაწილეობით და სისხლის დანთხევით. ასე იყო ძველად, თავისუფალ ეროვნულ ცხოვრების დროს, ვიდრე არ დადუმდა ეროვნულ ცხოვრების მაჯა და არ გასწყდა ძველსა და ახალს შუა ძაფი. შემდეგში კი ყველაფერი აირია, აილუფხა, ერთურთის დახმარების და მეზობლობის მაგიერ ჩამოვარდა ჭინკულიანობა, გვერდზე ცქერა და ალაგ-ალაგ პირდაპირ მტრობის ნიშნებმაც იჩინა თავი, რაც ფრიად სამწუხაროა და სავალალო.

\*\*) ჩვეულებრივ „მთას“ უწოდებენ კავკასიონის ქედსა.

ბატონ-ყმობის გადავარდნამ ჩვენში მთელი რევოლუციის მოახდინა. როგორც ბარმა, ისე მთამ ძალზე იცვალა ფერი. ნივთიერად ბარი მოუძღოურდა, წახდა, მცირე მამულიანობამ წელში გასტეხა, უხეირო შინაურმა მართვა-გამგეობამ და უწესრიგობამ უარესი საქმე დააყენა ბარს. უმამულო მთაც შეირყა და გაჩაღდა გადმოსახლება. ფშავეთი ერწოთიანეთის ველს მოედო, მშიერი და უმამულო გუდამაყარი და ხევი სათარხნოში დაბინავდა. ტფილისიდან მოკიდებული მანგლისამდე საჯავახოში (ნაწილში) დღეს მარტო მთიულები მოსახლეობენ. ამ ჯურის ემიგრანტებმა ხიზნობა ვერ შეითვისეს, როგორღაც გული ეთანადრებოდათ, კანტი-კუნტად იტყვიან ხოლმე, ჩვენც ხიზნები ვართო, მაგრამ ამას ამბობენ სხვისა წახედულობით, გულცივად. ხიზნობით არ ამაყობს, თავი არ მოაქვს. თუ გამოვა რამე ხომ კარგი, თუ არა და ხიზნობის გასამტკიცებლად თავს არ იცხელებენ. იჯარადრობა უფრო ეხერხება და არ უფრთხის საიჯარო პირობას. პირქუშობას და ჯიუტობას არ იჩენს, როგორც ოსი-მთიული და ცოტაოდნად შორაპნელი. ხიზნობა ძვალსა და რბილში განსაკუთრებით მთიულ-ოსს გაუჯდა. იგი ამაყობს ხიზნის სახელით და პირზე სულ ეს წოდება აკერია. სიკვდილის კარამდე მოგყვება ოსი და რაკი ერთხელ დაირქვა ეს საბატო სახელი, სიცოცხლეს გაიმწარებს და უარს აღარ იტყვის. ყველას თავს მოაბეზრებს და ეცდება თავისი გაიტანოს, თუნდაც რომ შიგ აღარაფერი ეყაროს მისთვის სახეირო და სასიკეთო. სამაჩაბლოდან გამოსული ხიზანი ოსი ისე შეეთვისა და შეესისხლ-ხორცა ამ ინსტიტუტს, რომ უამისოდ სიცოცხლე სიცოცხლედ აღარ მიაჩნია. ხიზნობა თითქმის სწორედ ამ მთიულთათვის გამოუგონია ჩვენს ძველს ცხოვრებას, მაგრამ რაკი ძველმა ისტორიულმა ხიზნობამ დრო-ყამი მოსჭამა, ახალი ბოძები მიუყენეს და გაამაგრეს. რაკი აღმინისტრაციამ ავი თვალი აარიდა ძველის ნანგრევზე აღმოცენილ წერგს, მცენარე ესე მოღონიერდა და შეიძინა სიმტკიცე მუხისა.

მთა-გორიან სამაჩაბლოში და საერისთვოში ორის კატეგორიის ოსობაა დაბინავებული. ნაწილი იყო ყმა-გლეხი, ხოლო მეორე არ განიცდიდა ბატონ-ყმობას. 1864 წელს ყმას მისცეს ნადელი და შეუდგინეს დებულების ოქმები. მათი ბედი საგლეხო კანონმა ცოტა სხვა საფუძველზე ააშენა, ვიდრე დროებით ვალდებულისა. ყმა ოსი ბატონ-ყმობაში იხდიდა ბეგარა-საჩუქარს და ბეგარას, ან ფულს, ან საკლავს—ძროხას და ცხვარს. გადასახა-

დის ერთეულად 1864 კანონმა იცნო კომლი და ნადელს დაარქვა საკომლო. ხშირად ერთს საკომლო ნადელზე ორი-სამი და ოთხი კომლი სცხოვრობდა. ხოლო საკომლოს ერთეულზე ორჯერ, სანადელო მამული, უფრო სასახლკარო ადგილები, ისე მცირე იყო ზოგან, რომ თავი კუდს ვერ მოიქნევდა\*) ზოგს კომლს გრამოტით ერგო 48 ოთხ-კუთხი საყენი სასახლე ადგილი და ისიც ოთხხუთ ცალკე ნაჭრად. ნაჭრები შემოვლებულია დიდის ლოდებით, რომ ნიაღვარმა არ წაიღოს, სწორედ ისე, როგორც მთა-გორიან დაღესტანში\*\*)

სამაჩაბლოს მთის მცხოვრებთა მეორე კატეგორიას შეადგენდნენ ისინი, ვინც ბატონ-ყმობის უღელში არ იყვნენ შებმულნი. ესენი მუდამ ეურჩებოდნენ მაჩაბლებს, ჩვენ თავისუფალი ხალხნი ვართ, მთის შვილნი, ბატონ-ყმობის უღელი თავის დღეში არა გვდგამია, არც დავიდგამთ და მამულიც ჩვენიაო. მაჩაბლები კიდევ იმას უმტკიცებდნენ მთავრობას, რომ ყმა-ოსები არ გვემსახურებიან და თავისუფლებას ეძებნო. დავამ პეტერბურგს მიაღწია და 1862 წელს 6 ივლისს ხელმწივე ნიკოლოზ პირველმა ასე გადასწყვიტა საქმე: სადავო მამული იცნო თავად მაჩაბლების საკუთრებად, ხოლო ოსები პირადად თავისუფალ გლეხებად. მაჩაბლებს უფლება არა აქვთ აპყარონ ძალით მამულიდან, თუ თვით ოსებმა არ მოისურვეს ნება ყოფლობით სხვაგან წასვლა. იგინი ვალდებულნი არიან აძლიონ მაჩაბლებს ათისთავი ყოველგვარ მიწის მოსავლისა. მთავრობამ მაჩაბლებს გაუჩინა საშვილიშვილოდ პენსიონი წელიწადში 600 მანათი ნაცვლად საბატონ-ყმო გადასახადისა. ასე გათავდა ეს ძველის-ძველი დავა მთისა მთისავე მებატონეებთან. დავა შეეხებოდა შვიდს ხეობას: 1. ზროგისას, 2. ჯავისას 3. ჯომაელისას, 4. უშუარისას, 5. როკისას 6. კოშკისას და 7. ქეშელთისას. ზროგის ხეობა კავკასიონის ქედის პირ იქითა სძევს, თერგის ხეობაში, ხოლო დანარჩენი ექვსი ხეობა პირაქეთაა, გორის მაზრაში.

როგორც თავისუფალ ოსეთში, ისე საბატონოში მცირე მამულიანობაა, ბუნება მკაცრი და მწირი. უბაროდ ოსეთი ერთს წელიწადს ვერ გასძლებს, შინშილით გასწყდება. ბატონ-ყმობის გადა-

\*) მიკრუებულ მთაში გადასახადი მარტო საკლავია, ხოლო ბარის ახლო სოფლებში მოსავლის მეოთხედია.  
 \*\*) სასახლკარო ადგილების სიფიწრთვის მაგალითები საკმარისად არის მოყვანილი ა. ფრონელის წერილებში გახუთ „ივერიაში“.

ვარდის ქამს მომრიგებელმა შუაკაცმა ალექსი კვალიაშვილმა მთავრობას წარუდგინა ბანკის წესდება და ურჩევდა მთავრობას მის დამტკიცებას. ბანკის დაარსების საქროებას კვალიაშვილი იმით ასაბუთებდა, რომ მთა (ოსეთი) მშვიერია, მარტო მატყული, ყველი და ერბო მოიპოვება, პური კი სრულებით არ მოდისო. ბანკის შემწევობით ოსები საქმელ პურს, ქერს და სიმინდს იყიდებიან ბარში და ვალს გადიხდიან საქონლით, მატყლით და ერბოყველითო. მაშინდელს მთავრობას არა ჰქონდა თავი და უნარი ასეთის საქმის მოწყობისა და უყურადღებოდ დასტოვა კეთილშობილი და კაცთ მოყვარეობით გამოწვეული განზრახვა-სურვილი ალექსი კვალიაშვილისა. ვინ იცის, ეგებ სულ სხვანაირად მოწყობილიყო მთის ბედი, თავის დროზე რომ მიექციათ ყურადღება კვალიაშვილის აზრისათვის და გაჭირვებულ მთისთვის მაშველი ხელი გაეწვდინათ.

მთა-გორიანი ქვეყანა განა მარტო ჩვენშია, ევროპაშიც ბლომად მოიძებნება ასეთი ადგილები. მოიგონეთ შვეიცარია, ტიროლი. მთა საზოგადოდ პირქუშია და გაუტანელი, მაგრამ პირქუშობასთან მადლიც ახლავს. ნაზი, სურნელოვანი და ნოყიერი ბალახი იცის ზაფხულობით, საქონლისათვის დიდად მარგებელი. გული და სული ნეტარებით გვესება, ოდეს ჰკითხულობ ზურმუხტის სამეფოს — თრიალეთის აღწერას ბატონიშვილ ვახუშტისას. ვისაც ჩვენსავეთ ერთხელ მაინც უხილავს თავის თვალთ ტურფად აბიბინებული თრიალეთი, პატარძალსავეთ კობტად მორთული აბრეშუმის მსგავს სურნელოვან ბალახით, ის თავის სიცოცხლეში ვეღარ დაივიწყებს იმ თვალწარმტაც სურათს. განა მარტო თრიალეთია მდიდარი ნოყიერის ბალახით, მდიდარია იალალებით ფშავეთი, ხევსურეთი ოსეთი და რაჭა, მაგრამ რა, ვერ მოვაწყეთ მთა და ველურ და ბარბაროსულ პირობებში ჰლევს სულსა. მთას გზა არა აქვს და კვალი. არ იცის მთამ საქონლის მოვლა და პატრონობა, არ უვარგა ჯიში საქონლისა, არ იცის რძის გამოყენება, ერბო ყველის გაკეთება, ნაწარმოების გამოყენება და იღრჩობა სიბინძურეში. რასაც შოულობს და ჰპოულობს, ლოთობაში (ქელები და ხარნაგი) ჰლუპავს. ერთი სიტყვით, ჩვენი მთა წახდა უბატონობით, გაველურდა. გონიერმა ევროპამ კი გონივრულად მოუარა მთას, გონივრულად გამოიყენა მთის სიმდიდრე — ბალახი და ააყვავა პირქუშ მთას შეხიზნული კაცის ცხოვრება.

რაკი მთამ თავისი ბედი თვითონვე ვერ გამო-

სჭედა, რაკი გარედანაც ვერ მივეშველენით, მისწყდა მთიული მთას და მიესია იმ კუთხეს, სადაც ცოტაოდენი ხალვათობა იყო. მთიული: გულდაწყურელი (სადაც, კაი ქებაა, რომ კომლზე ჰქონდათ სხვადასხვა ვი მოდიოდეს) და ფშავეი სათარხნოს და საჯავახიშვილოს მოედო, ოსი საფალავანდიშვილოს, საამირეჯიბოს, საციციანოს და საჯავახიშვილოს. ამათ უნდა მიუმატოთ უმამულო, ან მცირე მამულიანი შორაპნელობა. შორაპნელები დაბინავდნენ უფრო საამირეჯიბოსა და საციციანოში. ნაწილი მოეფინა ბორჯომის ხეობას. ეს დიდი მამული თ. მ. ს. ვარანკოვის დროს ხაზინამ შეიძინა საკუთრებად თავად ავალიშვილებისაგან, ხოლო იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ აჩუქა 1872 წელს თვის უმცროს ძმას, დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს.

საინტერესოა ისიც, თუ როგორ მოეწყვნენ ახალი მოსახლენი ახალ ბინაზე. ხეობაში დაბინავებულინი განვითარდნენ ტყის მუშაობაში. ტივის შეაკრა, სატივე ხის ამორჩევა და მარდად მოჭრა და შემდეგ მისი ჩატანა ტფილისში მტკვრით საუკეთესოდ შეითვისეს ხეობელებმა. სწორედ არტისტები არიან ესენი ტივის შეკვრაში. ცალი არა ჰყავთ ამათ ამ ხელობაში. ბორჯომიდან ახალციხის მაზრაშიაც ავიდნენ და ტყეზე მუშაობენ. ხეობელები სცხოვრობენ სუფთად და სახლები კობწია და ლამაზები უდგათ. მცირე მამულზე სთესავენ სიმინდს და პურს, მაგრამ წლის სარჩო ვერ მოჰყავთ. უმთავრესი წყარო ცხოვრებისა მეტივეობაა. ხეობელი განსაკუთრებული ტიპია, დღეს იგი აღარც შორაპნელია, აღარც ქართლელი, ნარევი და თავის-თავს უწოდებს ხეობელს. მხნეა, გაბედული, გულადი და თავმოყვარე. მხნედ იბრძოლეს ხიზნობისთვის, მაგრამ საქმე წააგეს და დღეს იგინი იჯარადრებად ითვლებიან.\*)

საამირეჯიბოში ჩამოხიზნული შორაპნელობა ხვნა თესვას მისდევს. ნაწილი შორაპნელობისა გადავიდა თომა ციციშვილისეულ მამულში, მტკვრის მარჯენივ. მათი მოსახლეობის სამზღვარი სოფელ ხცისის ქვევით აღარ მიდის. რიცხვით ეს ხიზნები მაინც და მაინც თვალსაჩინოს არას წარმოადგენენ, ტიპით ესენიც აირივნენ. ქართლელის სიღინჯემ და იმერლის სიმკვირცხლემ მშვენიერი ნაყოფი გამოიღო. გარჯით და უნარით წმინდა ქართლელს გაცილებით სჯობიან. ამ ნარევ ტიპის ზემო ქართ-

\*) თავის თავად ხეობელების მიერ ხიზნობის ძებნა ფრიად საყურადღებოა და ცალკე წერილს ვუძღვნით ამ ამავს. ჯეროვანი მასალა ხელში გვაქვს

ლელს ერთის შეხედვით შეატყობ. აქა-იქ სალდა-  
თის გამოწვევად შინელს (მაზარა) აქაც შეხედები,  
მაგრამ მოქანცულობა, დაგრდომილობა და მწარე  
ბედის დამორჩილება არ ეტყობა. ცხოვრებასთან  
ბრძოლას მხნედ იტანს.

როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ნაწილი ტფი-  
ლისის მაზრისა—ვერის ხეობა მანგლისამდე და გო-  
რისა ქართველმა მთიულებმა დაიჭირეს. გუდამაყრე-  
ლმა, მოხვევამ და ფშაველმა ვერ შეითვისა ისე ხი-  
ზნობა, როგორც ოსმა მთიულმა. რაკი სარგებლო-  
ბა აგრე რიგად ვერა ნახა რა, მალე გული აიკრუა  
და საიჯარო წესზედ გადადიოდა. განმათავისუფლე-  
ბელ მოძრაობის შემდეგ ხომ სულ მიანება თავი  
ხიზნობაზე ოცნებას და მხნედ შეუდგა მამულის ძე-  
ბნას საყიდლად. გუდამაყრიდან გამოსულმა ახალ-  
სოფლელებმა ორი მამული შეიძინეს და მესამესაც  
მალე იყიდნენ. იქნება ასე არც კი გარჯილიყვნენ,  
რომ აღმინისტრაციას არ დაეთუთქა მათთვის გუ-  
ლი. გუდამაყრელ ახალსოფლელებს ერთი ჩიჩქნა  
სახელმწიფო მამული არა აქვთ, თუმცა სახაზინო  
ხალხია. შორინად მოსულებს აძლევენ და მათთვის  
არა გაიმეტეს რა. არზებით, თხოვნა-მუდარით დუ-  
ნია გაავსეს, მაგრამ ვერ გასტრა მოწიწებით თხოვნა  
მუდარამ. ეს ის გუდამაყრელებია, რომელთა საო-  
ცარი უიღბლობა, თავგადასავალი და მწარე ბედი  
გაზეთ „ზაკავკაზიეში“ ან-ფარმა ასწერა ორ ფელე-  
ტონში: „Бѣдныя Макары изъ Гудымакыри“ და  
„13 пунктъ.“ უკანასკნელი სათაური აი რას ნიშ-  
ნავს. იჯარით ეჭირათ სახაზინო მიწა „ბედენი“. სა-  
იჯარო ქალაქის მეცამეტე მუხლში ეწერა რომ,  
თუ „ბედენი“ დაგვჭირდა რუსებისთვის, იჯარაზე  
ხელი უნდა აიღოთ და კონტრაქტი დარღვეულად  
უნდა ჩაითვალოსო.

გუდამაყრელ ახალსოფლელებს სხვა მთიულე-  
ბიც ჰბაძავენ, მამულს იძენენ საკუთრებად საადგილ-  
მამულო ბანკების დახმარებით და იმედია, რომ ამ  
სამს-ხუთს წელიწადში ხიზნობის ხსენებაც თავის  
თავად ამოვარდება ამ კუთხეში. საერთოდ კი უნ-  
და ვსთქვათ, რომ ამ კუთხის მთიულებს ცუდი და  
უხმარი მამული უჭირავთ, წლის საკმარისი სარჩო  
არ მოსდით და ამის გამო საქონლის მოშენებას  
მისდევნენ. განზე ისე თამამად ვერ გადიან, რო-  
გორც თუშები და ქიზიყელები. ამათში ბევრია  
ისეთი მეცხვარე, რომელსაც 10000 და 20000 სუ-  
ლი ცხვარი ჰყავს. იგინი მომთაბარობენ არდაგანს,  
ყარსში, განჯა-ერევანში და ჯავახეთში. ვერის-ხე-  
ობის და საჯავახოს მთიულნი ასე ფართოდ ვერა

შლიან ფრთასა. ქონებით საზოგადოდ უღონონი  
არიან, მამულის შეძენის სურვილი კი დიდია აქვთ.  
საოცრად ეტანებიან წერა-კითხვას და მწყემსობაში  
სწავლობენ ანაბანას. ხელის-შეწყობა უნდა და დახ-  
მარება ცუდს ეკონომიურ პირობებში ყოფთ, ხიზ-  
ნობის განმტკიცებით კი არა, მამულის შეძენით  
შელავათიან პირობებით და საქონლის მოვლა-პატ-  
რონობის გაუმჯობესობით.

უმთავრესი კონტინგენტი ახალის ტიპის ხიზ-  
ნობისა გამოსულია ბატონ-ყმობის გადავარდნის  
შემდეგ სამაჩაბლოდან და საერისთვოდან. ამათ და-  
იჭირეს თითქმის სავსებით ფრონის ორივე ხეობანი,  
მთელი საფალავანდიშვილო, სახერხეულიძეო, სა-  
ფავლენიშვილო, საციციანო (შუაგული და ქვემო  
ნაწილი) და საჯავახო. ესენი დროებით ვალდე-  
ბულნი იყვნენ, ან ის სახელმწიფო კაცნი, რომელს-  
თაც 1852 წელს ნიკოლოზ I თავისუფლება მიანი-  
ქა. შორაპნელი, ან ქართველი მთიული ახალს ბი-  
ნაზე ოჯახობით ესახლებოდა და ძველს სამშობლო  
კერასთან ეკონომიურ კავშირს სწყვეტდა. დრო  
გამოშვებით მხოლოდ სალოცავად თუ დაბრუნდე-  
ბოდა ძველს ბინაზე, ხატს მოილოცავდა და ახალს  
ბინას უბრუნდებოდა. ოსები კი პირველს ხანს მა-  
ინც ასე არ იქცეოდნენ. სახიზნოდ ერთი, ან ორი  
ხმა თუ წავიდოდა, ორი და სამი ძველს ბინაზე  
რჩებოდა და ეკონომიურს კავშირს არა სწყვეტა-  
დნენ გარედ გასულნი შინ დარჩენილებთან. მრავ-  
ალი მაგალითია იმისი, რომ მამულის პატრონს  
სამი ან ხუთი კომლი დაუსახლებია სახიზნო პირო-  
ბით, ესე იგი განსაზღვრულ გიდასახადით, თუ რამ-  
დენი უნდა აძლიონ ხორბალი, ფული, ძღვენი და  
მუშა. რამდენიმე წლის შემდეგ სამი, ან ხუთი კომ-  
ლი ოცად და ხშირად ორმოც კომლად გადაქცეუ-  
ლა. ასეთი ზრდა და გამრავლება ხელოვნურად  
ხდებოდა, რადგან დაბინავებულებს ემატებოდა მე-  
ზობლობა, ნათესაობა, მამულის პატრონის დაუკით-  
ხავად. ნორმალურს პირობებში, ერი დაახლოვებით  
ორმოცდა ათს წელიწადში ორკეცდება, ესე იგი  
თუ ჟამმა და ჭირმა, რაიმე გადამდებმა სენმა, ან  
მტერმა არ დააზარალა ერი, იგი ერთი ორად იქ-  
ცევა, მაგრამ სტატისტიკის ეს კანონი ახალ ტიპის  
ოსურ ხიზნობაზე არ მოქმედებდა. წინა წერილებ-  
ში უკვე იყო ნათქვამი, რომ დიდ მემამულეებს თ.  
ციციშვილებს რაღაც 60 კომლი ხიზანი ჰყოლიათ.  
დღეს მარტო თომა ციციშვილისეულ წილში 377  
კომლი ხიზანია. ცხადია, რომ ასეთის გამრავლების  
მიზეზი ბუნებრივი ზრდა კი არ არის, არამედ ხე-



ლოენური. ამ ბოლო დროს ქართლმაც ველარ და-  
 იტია სამაჩაბლოსა და საერისთვოდან გამოსული  
 ხიზნობის მოტრფიალე მთიული და იძულებული  
 გახდა პირი კახეთისკენ ექნა. კახეთში ხიზნობის  
 პირობით არ იღებენ მამულის მძებნელებს, ან იჯა-  
 რით აძლევენ მამულს, ან სყიდვით, მაგრამ ამითი  
 ხიზნობა არა მცირდება ქართლში. ერთი ხმა რომ  
 კახეთს მიდის, მეორე თავის ფუძეზე რჩება და ელის  
 იმ დროს, როცა ხიზნანთა საქმეს გადასწყვეტს მთავ-  
 რობა. ახალი ხიზნანი კარგად ჰხედავს, თუ როგორ  
 გადასწყდება საქმე და არა ჩქარობს შეიძინოს მა-  
 მული საკუთრებად, თუნდაც რომ ბედი კარზედ  
 მოადგეს.

ჩვენ ვერ ვიკისრებთ იმის გამოძიებას, თუ  
 რამდენია დღეს ძველის ტიპის ხიზნანი, ან ახლის  
 ტიპისა. ვერც იმას ვიტყვით, თუ რა პროცენტს  
 შეადგენს ახალ ხიზნობისას ოსი, იმერელი და ქართ-  
 ველი მთიული. საგლებო საკრებულოს საქმენი  
 სრულიად რომ გადაფურცლოთ, მაინც ამას ვერ  
 გავიგებთ. შემდეგში მოვიყვანთ „პროტოკოლების“  
 ცნობას, თუ რამდენი სულია აღნუსხული ხიზნად,  
 მაგრამ ამ ცნობასაც სიფრთხილით უნდა მოვექ-  
 ცეთ. დღეს დაბეჯითებით მარტო ხიზნანთა დაბინა-  
 ვების ტერრიტორიის აღნიშვნა შეგვიძლიან და კი-  
 დეც აღვნიშნეთ ზევით. თამამად და ბეჯითად მარ-  
 ტო ამის თქმა შეგვიძლიან, ხიზნობა ქართველ მთი-  
 ულების ბინაზე განელდა; ესევე პროცესისი მძლავ-  
 რად მოქმედობს იმერეთიდან შემოსულ ხიზნანთა  
 ტერრიტორიაზე. ჩვენ ვიცით სამი მაგალითი ხიზ-  
 ნობაზე უარის თქმისა. უარის მთქმელნი ქართვე-  
 ლები არიან. ს. აუნევში ორმა კომლმა მაისურაძემ

უარი სთქვა ხიზნობაზე, რადგან მამული იყიდეს  
 საგლებო ბანკის შეწვობით; ს. ოსიაურში ერთმა  
 კომლმა და ს. ურთხვაში (სურამთან) ხუთმა კომ-  
 ლმა. ურთხველი ხაჩიძენი შორაბნელები სიძნობიან,  
 ყველას პირადად ვიცნობ, რადგან მათმა საქმემ  
 ჩემს ხელში გაიარა. გულმა ველარ მომითმინა და  
 ვკითხე: ხომ არ ნანობთ, ხიზნობაზე რომ ხელს  
 იღებთ და სამუდამოდ ეთხოვებით ძველის-ძველ  
 მამა პაპეულ ხიზნობას მეთქი. ბატონო, რა ურია  
 ხიზნობაში წყალ-წადლებული ხავსს ეჭიდებოდა, ჩვენც  
 ისე მოგვდიოდა. ჩვენ ხიზნობა კი არ გვინდა, მა-  
 მული გვესაჭიროება. რაკი მამულს შევიძენთ სა-  
 კუთრებად და მოვისვენებთ, რა თავში ვიხლით  
 ხიზნობას. ნიბლია ჩიტსავით ნარზე ვისხედით აი,  
 ან ეხლა აგვბარგამენ, ან ეხლაო. მკვიდრი საფუძ-  
 ველი არა ჰქონდა ხიზნობას. გულ დამშვიდებული  
 არ იყო კაცი ხიზნობაშიო. მაგალითი არ ვიცი,  
 რომ ხიზან-ოსს უარი ეთქვას ხიზნობაზე, თუმცა  
 ჩემს ხელში ამათს საქმესაც ბევრს გაუვლია. ესენიც  
 საქარისად ყიდულობენ მამულს ქართლში საგლე-  
 ხო ბანკის დახმარებით, მაგრამ ხიზნობაზე უარს  
 მაინც ვერ ამბობენ.

ასეთის ჯიუტობის მიზეზი ეგები იმ მაგალი-  
 თებმა აგვიხსნას, რომელსაც ქვემოდ საქარისად  
 მოვიყვანთ. მაგრამ თუ მეფის მოადგილის საკანო-  
 ნო პროექტი ხიზნობის შესახებ მალე დამტკიცდა,  
 უეჭველია, ჩვენ გავწილდებით და გამარჯვებული  
 ის იქნება, ვინც მაგრად ებლაუჭება ხიზნობას.

ალ. ყიფშიძე.

(შემდეგი იქნება).

## ნ უ კ რ ი ს ს ი კ ვ დ ი ლ ი

ბალოლადა

(ძღვანად ვაჟა-ფშაველას)

\* \* \*

...იქ, ცის ცრემლებით მიმორთვილულს ბილიკის პირზე, დღეს მიიძინა, მიიძინა უმან-  
 კო ნუკრმა. ს-ცოცხლის მეჯლისს ხმა ჩაუწყდა და ზარის ხმაზე ყოვლი შეჰმოსა ბნელ ძა-  
 ძებით მქმუნვარე ქარმა: ხავსმა გაჰშალა სარეცელად მწვანე ქათიბი, ვარდმა ცის ცვარნი  
 ყელსაბამად მოასხნა რქის ძირს, ზამბახმა კვნესით აიაზმად ცრემლი აწვიმა, იამ მის გიშრის  
 ჩლიქთან იწყო უხმო ქვიათინი, პეპელას ფრთები შეესეტყვა ნამთ მარგალიტით და ნაზ ფუტ-  
 კარმაც სასომიხდით დაიხუხუნა იქ... ცის ცრემლებით მიმორთვილულს ბილიკის პირზე,  
 სად მიიძინა, მიიძინა უმანკო ნუკრმა...

\* \* \*

...ანგელოზთ მღვიმის თანამგზავსა განსასვენებელს წყარომ კისკისი შეიცვალა მღვიმის  
 დუდუნად, ასკილის ფურცელთ წაეშალათ პირზე ღიმილი, მაყვალს ცრემლთ ღვეთმა დაუბრუნა  
 ტა ჟუჟუნა თვალნი, მზეც თოვლის ჩაფხუტს მწვერვალიდან გადმოეყუდა, მუნგანცვიფრე-  
 ბით მიაბნია სხივთა ისრები და რა იხილა ამა ქვეყნის უმადურობა, სწრაფ ღრუბელთ ჩრდი-  
 ლი შეიმოსა შარავანდელოდ და... მყის გაპშორდა, მყის გაპშორდა, სხივ დათაღხული,  
 ანგელოზთ მღვიმის თანამგზავსა განსასვენებელს.

\* \* \*

...როს სიჩუმის ტბას გლოვის ზარმა შეუკრთო ტალღა, მთვლემარე გედებს შეუშალა  
 სიზმართ სვლის ველი, შეკრთა დრიადაც, ცრემლთა ღველფით ფულო გამოსწვა, კენესა და  
 ვიშით გადაჰხედა სპეტაკ სარეცელს, დაიჭურაგა შორს ქალიდან ცელქმა ეთერმა, თავს  
 ლიტანია შემოავლო ნუკრს მიძინებულს, დასწვდა მის მკრთალ ტუჩთ, დაუბრუნა პირველი  
 კოცნა და სასომიხდით ზედ დაჰფურცლა სევდის ყვაფილი... როს სიჩუმის ტბას გლოვის ზარ-  
 მა შეუკრთო ტალღა, მთვლემარე გედებს შეუშალა სიზმართ სვლის ველი ..

\* \* \*

...ფრთებ-დაწყვეტილსა დამუნჯებულ ანგელოზთა გუნდს ჯერ არ დაეწყო, არ დაეწყო საღ-  
 მრთო გალობა, გაჰხდა მსოფლიოს მკერდის უბეს გმინვა და ოხვრა, კაეშნის შავ-ფრთამ ნაღ-  
 ვლის ჰიმნით იწყო სულთა თქმა, გველმა ქვებს შუა ქერქის გახდა შესწყვიტა წამით, იას  
 კინწი სწყდა, იქ ზამბახმა დაჰხარა თავი, შროშანს ჰალილა გადგრიხა, გაჰქრა ფუტკარიც,  
 პეპელა თრთოლვით გადმოფრინდა სისხლიან მოლზე, ეთერიც სწრაფად შეეფარა შემ-  
 კრთალ ფოთოლთ ჩრდილს... როს ფრთებ დაწყვეტით დამუნჯებულ ანგელოზთა გუნდს  
 ჯერ არ დაეწყო, არ დაეწყო საღმრთო გალობა...

\* \* \*

...დამტირალთ ცრემლი სამადლობელ გუნდრუკის კვამლად არ აჰკმეოდა, არ აჰკმეო-  
 და ღმერთთ საკურთხეველს, როს უდრო-უდროდ წამოიქცა გლოვის სამრეკლო, დაირღვა  
 სრულად შავ ღუმლის თაღხი სამეფო, გაჰხდა მყინვართა გრებილისკენ შმაგი კივილი, მთამ  
 მთას გადასცა იდუმალი საშიშროება და აჰა, იქ, იმ ცის ცრემლებით დართვილულს ბი-  
 ლიკს, სად მიძინა, მიძინა უმანკო ნუკრმა, გამოჩნდა სახე შემურული შვილდის მსრო-  
 ლელი, ლაღად მსრბოლელი მოიმღერდა ძღვევის სიმღერას... როს დამტირალთა ცრემლთა  
 წვიმა გუნდრუკის კვამლად არ აჰკმეოდა, არ აჰკმეოდა ღმერთთ საკურთხეველს!..

დ. კასრაძე.

# დ ა ა გ ა დ ე ბ უ ლ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი

„ტერიტორიალური საკითხით ჩვენ ჯერ მაშინ  
 დავინტერესდით, როცა „კლდე“ ჯერ გამოჩეკილიც  
 არ იყო,“ — ამბობს არ. ჯ-შვილი თავის უკანასკნელ  
 წერილში ხიზნების შესახებ და მიუხედავად იმისა,  
 რომ დიდი ხანია „დაინტერესებულნი“ ყოფილა,  
 თამამად ითქმის რომ დღესაც არაფერი არ ესმის  
 ტერიტორიალური საკითხისა. რასაც იგი ლაპარაკ-  
 კობს, საკითხის გადაწყვეტა ან გამორკვევა კი არ

არის, უბრალო გადაფუჩეჩებაა, და „დემოკრატიუ-  
 ლი“ სიტყვებით დამალვა იმ საგნისა, რომელსაც არ  
 იცნობს. მე მინდა ფებ-და-ფებ მივყვე ამ „პუბლი-  
 ცისტს“, რომ დავანახო მკითხველს, რამდენად  
 შემცდარ და არა კეთილ-სინიდიისიერ ადამიანთანა  
 გვაქვს საქმე.

ხიზანთა ინსტიტუტს ბ. არ. ჯ-შვილი ბატონ-  
 უმობის ნაშთს უწოდებს. ამით იმასაც ამტკიცებს,

რომ არც ბატონ-ყმობა ესმის რა არის, და არც ხიზნობა. ჩვენს ჟურნალში მთელი თვეა იბეჭდება მეტად სერიოზულ და საინტერესო გამოკვლევა ხიზნანთა საკითხისა, რომელიც ისეთ მკოდნე პირს ეკუთვნის როგორც ა. ყიფშიძეა. ალბად არ. ჯ— შვილი ან არ კითხულობს ამ წერილებს, ან კითხულობს და განგებ არ ესმის. ა. ყიფშიძე ნათლად ამბობს და ამტკიცებს კიდევ საბუთებით და მრავალის მოსაზრებით რომ ბატონ-ყმობასა და ხიზნებს შორის დიდი განსხვავებაა. ბატონ-ყმობა, როგორც თვით სიტყვაც ამტკიცებს იძულებითი დამოკიდებულება იყო; ერთის მხრივ იყო უფლება ბატონისა, მეორეს მხრივ უუფლებობა ყმისა. ბატონი პატრონი იყო, ყმა-ნივთი. (ბატონ-ყმობის დასახსიათებლად ამ უამად ჩვენის აზრით ესეც კმარა, თუმცა ამ განსხვავებაზედ მთელი ტომების დაწერა შეიძლება).

განვიხილოთ ახლა რა არის ხიზნობა. ხიზნობა იძულებით, დამოკიდებულება არ არის. ხიზნობა თავისუფალი ხელ-შეკრულობაა მემამულესა და გლეხს შორის. მემამულესა და გლეხს მუდამ შეუძლიანთ გაშორდნენ ერთმანეთს. მართალია, ხიზნობას ჰქონდა ერთგვარი ელფერი ადათისა, რომლის ძალით შეუძლებელი იყო იჯარის გადიდება, განაჩენის წინააღმდეგ წასვლა, მაგრამ ესეთი ელფერი პიროქით ხიზნის სასარგებლო იყო. მაშასადამე რა აქვს საერთო ხიზნობას ბატონ-ყმობასთან?

და გვიჩვენოს არ. ჯ-შვილმა ის საბუთები, ის თავისი საკუთარი მოსაზრება მაინც, თუ საგანი სხვაგან არსად შეუსწავლია, რომლითაც მტკიცდებოდეს ბატონ-ყმობის და ხიზნობის ერთგვარობა ან მსგავსება.

თვით ბატონ-ყმობის დროსაც ხიზნობა ისეთი თავისუფალი ინსტიტუტი იყო, რომელიც **სანატრელი** იყო ყოველი ყმისათვის; ბატონს იქნება სიამოვნებითაც გადაექცია ხიზანი ყმათა, მაგრამ ადათი ნებას არ აძლევდა. ხიზანს თავისუფლად შეეძლო მოძრაობა და თვით გაჭირებული ყმები, შეწუხებულნი ბევრჯელ ბატონისაგან, ეძებდნენ საშველს ხიზნობაში.

არაფერი ეს არ იცის არ. ჯ-შვილმა დააცხადებს კია — ხიზნობა ბატონ-ყმობის ნაშთიაო.

ვნახოთ ახლა როგორ სწყევტს იგი ტერიტორიალურ საკითხს. ამას წინად ჩვენ მოვიყვანეთ არ. ჯორჯაძის აზრი ტერიტორიის და ხიზანთა საკითხის შესახებ. არ. ჯ-შვილს ჰგონია, რომ არ. ჯორჯაძე ამ საკითხში, როგორც

ავტორიტეტი გამოვიყენეთ. ეს შემცდარ აზრია: სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხებს ავტორიტეტები არა სჭირდებიან. თუ არ. ჯორჯაძე ვახსენეთ, მხოლოდ იმიტომ რომ დაგვეჩვენებინა ერთგორ წაჯე-უკუეჯქობას თამაშობენ „სახალხო გაზეთში“ და რამდენი პარასკევი აქვს იმ ჯგუფს, რომელმაც ვერაფრით ვერ გამოარკვია თავისი პროგრამა და აქამდის ვერ გაუგია, რა არის დედა ძარღვი დღევანდელ ქართულ ნაციონალურ პოლიტიკისა. თუ ა. ჯორჯაძის აზრი ისე ვრცლად მოვიყვანეთ—ეს იმიტომ კი არა, რომ ჩვენთვის იყოს იგი ავტორიტეტი ამ საკითხში, არამედ იმიტომ, რომ სახალხოელებისათვის უნდა ჰქონდეს დიდი ფასი მათი ლიდერის ყოველ აზრსა და თუ იმას არ მოერიდნენ და ს. დემოკრატების საყვედურზე: „არჩილ ჯორჯაძე პროტექციონიზმს ასე უყურებდაო“, მარტო იმით და ვაცხეს პასუხი, რომ „წინად ასე უყურებდა და მერე შეიცვალაო“, რა გასაკვირველია ეხლა არჩილ ჯორჯაძის **მკაფიოდ** ნათქვამს აზრებს **სხვა** შინაარსი მიაწერონ? სად არის გარანტია, რომ ორი წლის შემდეგ კიდევ არ გამოიჩიკება ვინმე ახალი არჩილი III და არ იტყვის: „არჩილი I სცდებოდა, არჩილი II-მ გაასწორა და ახლა მე ვამტკიცებ, რომ ორთავენი ღრმად შემცდარნი იყვნენო“, ან თითოს მათგანს სამ-სამი ერთ-ერთის მოწინააღმდეგე აზრი არ ექნება სხვა და სხვა დროსა?

იძულებულნი ვართ კვლავ გავიმეოროთ არ. ჯორჯაძის სიტყვები:

„ეროვნულ პრობლემის სიძნელე თეორიული სიძნელე არ არის.

„თეორიაში ყოველივე მწყობრად სწყდება და ჰლაგდება. სიძნელე იწყება იმ დროიდან, როდესაც ეროვნული პრობლემა გინდათ გადასწყვიტოთ კონკრეტულ პირობების მიხედვით...“

„როდესაც თქვენ ხედავთ, წინად პოლიტიკურად დამოკიდებულს რამდენსამე ერს, ერთმანეთში უამთა ვითარების გამო არეულს, როდესაც ამ არეულობის გამო ფერხდება კულტურული განვითარება თვითეთულისა, და როდესაც ეს **ერნი ამასთან დამონებულნიც არიან სხვა ძლიერ ერის მიერ, რომელსაც ჰსურს გასთქვიფოს სხვა და სხვა ელემენტები მის მიერ დაწესებულ სასტიკ პოლიტიკურ ფორმებში;** როდესაც თქვენ ჰხედავთ, რომ ყველა ამის გამო გამოაშკარავდა რასიული, ლინგვისტური, სარწმუნოებრივი და ეკონომიური ქიშპობა და მტრობა არა მარტო ორ

კლასს შორის, არა მებატონეთა და ყმათა შორის, არამედ სხვა და სხვა ერთა შორისაც, სხვა და სხვა ერთა დაჩაგრულ კლასთა შორისაც—მაშინ იწყება სიძნელე ეროვნული პრობლემის გადაწყვეტისა... ჩვენში სწორედ ამ კონკრეტულ პირობების მიხედვით უნდა გადასწყდეს ეროვნული პრობლემა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას უქმ-ადამიანთა უქმი ლაყბობის ელფერი ექნება. \*)

და რომ არ. ჯ-შვილისთანა „უქმ-ადამიანთა უქმი ლაყბობის ელფერი“ არა ჰქონოდა მის სიტყვებს, იგი კონკრეტულ პირობებში იხილავს ხიზანთა საკითხსაც და ხედავს, რომ ოსებმა დაიჭირეს სხვის ტერიტორია, „დროებით—ვალდებულ გლეხებისგან ჩამორთმეულ ჩამონაჭრებზედ“, ის ხედავს, რომ ოსები ბიუროკრატის ხელში პოლიტიკურ იარაღად იქცნენ, რაზედაც პროტესტს აცხადებს და ამაზე არ. ჯ-შვილი სწერს: „არ შეიძლება არ. ჯორჯაძეს ისეთი შეხედულება მივაწეროთ, ხიზნობის საკითხზე, რანაირსაც დღეს „კლდე“ იცავს.“ ეს პასუხი არ არის, ჯორჯაძე უპასუხოდ დარჩა.

ჩვენ ვწერდით, რომ ჯორჯაძისთვის ნათელია, რომ ოსების იმიგრაციას არავინ ეღობება ვინ, იმ დროს, როდესაც ქართველობას გადასახლ-გადმოსახლები ს გზები ყველგან შეკრული აქვს. აღმოჩნდა, რომ ქართულ ემიგრაციას საქართველოს და მთელ კავკასიის ფარგალშიაც გასავალი გზა არა აქვს, მაშინ როდესაც მიწით გაჭირვებულ ქართლს მთიდან ჩამოსული ხალხი ესევა; აღმოჩნდა, რომ ყამთა მსვლელობაში, საქართველოს საუკეთესო პროვინციებში, სადაც ძველად ქართული კულტურა ჰყვავდა, დღეს ოდნავ და მოსჩანს ქართულ ეროვნების ნაშთი, რადგან იქ ეროვნული შემეცნებაც მიმქრალა, ენაც ისპობა.

ჩვენ არც მისვლა-მოსვლის წინააღმდეგნი ვართ, არც უცხოელების გარეკის აზრი გვაფრთოვანებს, ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ ემიგრაცია-იმიგრაციის საკითხი მოწესრიგებული უნდა იქმნას თანახმად სამართლიანობისა... (ხაზი ა. ჯორჯაძისაა) ჩვენ გვინდა დაუკარგოთ ემიგრაცია-იმიგრაციის სტიქიური ხასიათი და ამასთან გვინდა რომ იგი გაბატონებულ ბიუროკრატის ხელში პოლიტიკის იარაღად არ იყოს“ \*\*) (გვ. 55, 56).“

1) ხაზი ჩვენია. რ. გ.  
\*\* ხაზი ჩვენია.

ამ ხაზგასმულ სიტყვებს ჯორჯაძისაგან და ხაზგასმულს ჩენგანაც, ჩვენ სავსებით ვადვიარებთ და არ. ჯ-შვილი მაინც სცდილობს რაღაცა სხვა აზრი მიაწერს და არა ის, რასაც უწვევს თვალბილული ადამიანი მიაწერს. მაგრამ ნათქვამია: თვალით ბრმა ჭკუით ხედავსო და ჭკუით ბრმა თვალითაც ვერა ხედავსო.

ამ წინასიტყვაობის შემდეგ, არ. ჯ-შვილი გადადის იმაზედ, თუ როგორ უნდა გადასწყდეს ხიზანთა საკითხი და, რაკი აქ მხოლოდ საკუთარ აზრებს გვიწილადებს, განსაკუთრებით უხერხულ მდგომარეობაში ვარდება.

როცა ბიუროკრატია ქართულ ტერიტორიას სხვებს ურიგებს არ. ჯ-შვილი ამას დემოკრატიზმს უძახის.

როცა ჩვენ ამის წინააღმდეგნი ვართ—არ. ჯ-შვილი ამას რეაქციონერობას უწოდებს.

თუ როგორი „დემოკრატიული პრინციპების“ მიხედვით აპირებს ბიუროკრატია ხიზანთა საკითხის გარდაწყვეტას, სჩანს უბრალო მაგალითიდანაც. არ. ჯ-შვილი, ეს „უკიდურესი მემარცხენე“, და მეფის მოადგილის საბჭო - უკიდურესი მემარჯვენე, შეხმატკბილებულნი სწყვეტენ ჩვენი ეროვნული საკითხის ერთ ერთს მუხლს და „სახალხო გაზეთს“ ერთხელაც ფიქრად არ მოუვა: quid quid est, timeo danaos et dona feneutes. (რაც უნდა იყოს, ვუფროთხი დანაელებს, თუნდაც საჩუქარი მოჰქონდეთო.)

აი როგორ სამართლიანად და დემოკრატიულად აჯილდოვებს ბიუროკრატია ხიზნებს... სხვისი ნაოფლარით, მაშინ როდესაც ბინადარ ქართველ გლეხს პაწია „სანადელო“ ჩამონაჭერში უზომო ფასს ახდევინებს:

ქართლის მიწები, რომლებიც ერთად ერთ თავისუფალ ტერიტორიალურ ფონდათ ჩაითვლებოდა, საცა შესაძლებელი იყო იმიგრაცია, ვსთქვათ, იმერლობისა, რომელიც მიწის სივიწროვეს გაურბის ჩრდილოეთ კავკასიაში და უკანასკნელ დროს ამერიკაშიაც კი, —დღეს მთლად ოსების ხელში უნდა გადავიდეს მაშინ, როცა ოსებს მთაში იმისთანავე ნადელებიცა აქვთ, როგორც 20 დეკემბრის კანონით განთავისუფლებულ ქართველ გლეხებს. რა მიზეზია ასეთის გულუხვობისა და „სამართლიანობისა“ ბიუროკრატისაგან, რომელიც ყველგან და ყოველთვის უფრო გლეხების შევიწროვებაზედ ზრუნავდა ხოლმე. რაღა ხიზნები გაუხდათ ასეთ საყვარელ გლეხებად, რომ მათთვის

ექსპროპრიაციასაც არ უფროთხიან კერძო საკუთრებისას?

და რამდენადაც ეს პოლიტიკური ნაბიჯი კარგადაა აქვს შეგნებული ადგილობრივ ბიუროკრატიაში, რომელიც სცდილობს დაარღვიოს ჩვენი ეროვნულ-ტერიტორიული მთლიანობა, იმდენად შეუგნებლად ხელს უწყობს ამ პოლიტიკას ჩვენი ავადმყოფი დემოკრატია. ს. დ. რომ ასე სწყვეტენ საკითხს — ეს გასაკვირველიც არ არის, რადგან მათთვის ყველა ეროვნული მოსაზრება მართლაც საფრთხობელაა, მაგრამ ამასვე რომ სჩადის „ავტონომისტი და ტერიტორიის დამცველი“ — ეს მის სრულ სიბეცეს ამტკიცებს. არჩილ ჯორჯაძე არას დროს არ გადასწყვეტდა ამ საკითხს, როგორც არ. ჯ — შვილი, მაგრამ ესეთი წაჯე-უკუჯეკობა ჩვეულებაა ყველა ხელოვნურად შექმნილ პარტიისა, რომელსაც სურს შეუგუოს ერთმანეთს, ის დღევანდელი კონკრეტული პირობები ცხოვრებისა, რომლებიც მის გავლენას არ ექვემდებარებიან და ის იდეალი, რომლის განსახორციელებლად თითო-თითზედ ვერ აკარებს.

ჩვენთვის ისიც ახალი აღმოჩენაა, რომ ფორმულა „საქართველო ქართველებისათვის“ თურმე რეაქციონური **გაბატონებულ** ერთა აზროვნებაა და ეს მთელ საქართველოს სამხედრო ბანაკად ვადააქცევს. ყველა ფორმულა იმდენად არის რეაქციონური, თუ როგორ შინაარსს გაახვევთ შიგბ და რა პირობებში ანხორციელებთ ამ ფორმულას. ჩვენ კი გადაჭრით ვალიარებთ, რომ როგორც დევნილ ერს, არავითარი **საშუალება არცა გვაქვს და არცა გვსურს გვქონდეს** სხვა პატარა მოსახლე ერთა დასაჩაგრვად, ან განსადევნელად. ჩვენ პირიქით თავს ვიცავთ იმ პოლიტიკისაგან, რომელიც ძალმომრეობით სარგებლობს და ჩვენის კისრიდან ასუქებს უცხო ელემენტებს. ჩვენ **ოსებს** კი არ ვებრძვით, რადგან ხიზანთა საკითხის გადაწყვეტა სრულებით **მათზედ** არ არის დამოკიდებული, არამედ პროტესტს ვაცხადებთ ბიუროკრატის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც **სხვისი ხარჯით** აპირებს ოსების გაძლიერებას. და თუ ეს უბრალო და მარტივი აზრი ვერ გაუგია არ. ჯ — შვილს, რა გასაკვირველია, რომ რთულ ეროვნულ საკითხებში არჩილი II-ე არჩილი I-ს ეროვნულ შეგნებასაც კი უბღალავს. არ. ჯ — შვილს ორი „მოსაზრება“ აქვს მოყვანილი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გადაწყვეტა ეროვნული საკითხისა. პირველი ისეთი შეუსაბამოა ჩვენ პირობებში, რომ მარტო ავადმყოფს თუ და-

ესიზმრება და ამაზედ არ შევჩერდები, მაგრამ...

«მეორე შეხედულება შეიძლება იყოს ასეთი. საქართველო ქართველებისათვის კი არ უნდა იყოს, საქართველო უნდა იყოს ყველა იმსხრქნის უნდა საქართველოში სცხოვრობს, მისი მოძავალი სწამს და დარწმუნებულიცაა, რომ საქართველოს ბედნიერება მისი ბედნიერებაც იქნება. საქართველოს პოლიტიკური იდეალი საქართველოში მცხოვრებ ერთა საერთო იდეალი უნდა იყოს». **დღეს** ბრმა უნდა იყვეს ადამიანი, რომ არა ხედავდეს, თუ როგორ გვაფიწროვებენ, როგორ აცლიან გვერდებს ჩვენ სამშობლოს ისინი, ვის ხელშიაც ძალაა; თვალნი დაშრეტილნი უნდა ჰქონდეს იმას, ვინც ვერ ხედავს, თუ როგორ აძლიერებს თვით მთავრობა იმ ელემენტებს, რომელნიც ჩვენ გვასუსტებენ შეგნებულად და შეუგნებლად და ამ დროს თქმა იმისა რომ საქართველო „ყველა იმისთვის უნდა იყვეს, ვინც საქართველოში ცხოვრობსო“ განა უფრო არ წაახლისებს საქართველოში უცხოთა გადმოსახლებას?

გულუბრყვილოა ის ადამიანი, ბეცი ის პოლიტიკოსი, რომელიც ტიკტიკებს: „საქართველოს პოლიტიკური იდეალი საქართველოში მცხოვრებ ერთა საერთო იდეალი უნდა იყვესო“.

კარგი და პატიოსანი: **უნდა** იყვეს, მაგრამ რომ არ იყვეს, ან რომ არ არის?

განა დაავიწყდა არ. ჯ — შვილს, რომ ორიოდ დღის წინად „სახალხო გაზეთი“ მეთაურში ეკამათებოდა „პორიზონს“, რატომ არ სცემ პატივს ჩვენ პოლიტიკურ იდეალსაო; განა დაავიწყდა არ. ჯ — შვილს, რომ არჩევნების დროს **მარტოდენ** ის გამოაშკარავდა, რომ სომხობის „მოწინავე“ ხალხი **წინააღმდეგია** ჩვენი პოლიტიკური იდეალისა? განა დაავიწყდა ქალაქებში და სოფლად რა ბრძოლაა გამწვავებული ამ ნიადაგზედ? განა ისიც დაავიწყდა რომ „რკალივით გვარტყავენ“ გარშემო შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთ? განა ისიც დაავიწყდა თუ როგორ გვიბღალავენ ენას და დღეს ეკლესიის ავტოკეფალიას ბოლოს უღებენ? განა არ ახსოვს, რომ ოსებს **უქმნიან** ლიტერატურას და მფარველობას უწევენ ნ() წლის განმავლობაში მხოლოდ იმიტომ რომ ოლსტერი მოგვიმზადონ? და თუ ყველა ეს არ ახსოვს, თეორეტიულად მაინც როგორ არ ესმის, რომ ყველა ეროვნებას სურს ბუნებრივად არა მარტო შეინარჩუნოს ის, რაცა აქვს, არამედ მეტიც შეიძინოს და საზღვარი ამ მისწრაფებას უნდა შეთანხმებამ დაუდოს, სამართლიანმა გარდაწყვეტამ საკითხისა: „საქართველო ქართველ-

ბისათვის“ და როცა ამას ხელოვნურად წინ უყენებენ სხვათა გასუქებას ჩვენი ხარჯით, მაშინ მოვალე ვართ თავი დავიცვათ. თავი დავიცვათ ბრძოლით არა იმათთან, ვისაც თავზე გვასვამენ, არამედ იმათთან, ვინც თავის თავადაც გვასხდებიან და სხვესაც გვასვამენ.

რასაკვირველია, ჩვენ ამ ბრძოლაში ყველა იმ საშუალებას ვხმარობთ და ვიკვლევთ, რომელსაც გვირჩევს ჩვენი ჟურნალიდან ამოწერილი სიტყვებით არ. ჯ — შვილი: „საერთო ეკონომიური აღორძინება, მიწების მობილიზაციის სასურველი მიმართულება, სათანადო საკრედიტო დაწესებულებანი...“ და სხ. და არა რალაც მექანიკურს (?) და ხელოვნურს, მაგრამ ესეთი პოლიტიკა თუ არ შეეხებოდა იმ ელემენტებსაც, რომელსაც ხელოვნურად გვისახლებენ სახლში — ეს რალაც გაუგებრობაა, ეროვნულ შეუგნებლობის ბრალია.

არ. ჯ — შვილს რალაც „ახალი სოციალური ჯგუფების იმედი აქვს, რომელნიც იბადებიან და ეკონომიურ კონკურენციის სარბიელზე გამოვლენ და თვისი საკუთარი ძალ-ღონი. აც გაუმკლავდებიან მოწინააღმდეგეთ. — ეს რასაკვირველია ასეა და ცხოვრება ჯ — შვილის რეცეპტით არ მოძრაობს, მაგრამ რა დამოკიდებულება აქვს ამ ჯგუფებთან ჩვენს „პოლიტიკურ პარტიას“, როგორ ხელს უწყობს მათს გამოსვლას — თავი და თავი საკითხი ეს არის, თორემ ჯიბეში ხელები ჩავიწყობთ და ვიძახოთ: დაიბადებიან ჯგუფები და ისინი გადასწყვეტენ ეროვნულ საკითხს — ეს ვერაფერი მოქმედება და ბრძოლაა. ჩვენც მაგას ვამბობთ, რომ „სახალხოელთა“ პარტია იძულებულია უქმად იჯდეს და უქმად ლაყბობდეს, ვინაიდან კონკრეტულ და რეალურ საკითხების გადასაწყვეტად იგი იძულებულია ადგილი სხვას დაუთმოს და თვითონ სიტყვების ქარბუქით დაკმაყოფილდეს მხოლოდ.

„უნდა შევეცადოთ ქართველი ხალხის ეკონომიურად მოღონიერებას და მაშინ იგი შესძლებს როგორც არსებულის შენარჩუნებას, ისე დაკარგულის დაბრუნებას“, ამბობს ბატ. არ. ჯ — შვილი ახირებული დებულებათ! თუ სხვისთვის მიცემული მიწები დასაბრუნებლად მიაჩნია, განა გონიერი ადამიანი იტყვის ვინმე: დეე მიეცეს და მერე დავაბრუნებთო. ან რილათი აპირობს ჩვენი ხალხის ეკონომიურად მოღონიერებას, როდესაც იმ ნიადაგს, რომელიც ერთად-ერთ საშუალებას შეადგენს ჩვენი ეკონომიური აღორძინებისას, იგი უხვად სხვებს გაუბოძებს? „უნდა შეიქმნას ისეთი პოლიტიკური

პირობები... თუ ასეთი პოლიტიკური პირობები დამყარდა და სხ. ქართველი ერი ყოველთვის მოახერხებს თავის უპირატესობის“) შენარჩუნებას, ამბობს იგივე არჩილი. ეს ხომ იგეთივე დედაა: თუ რომელი უწინ იყო კვერცხი, თუ ქათამიო.

რა თქმა უნდა რომ საჭიროა ისეთი პოლიტიკური პირობები, მაგრამ ჯერ ერთი ვიდრე დამყარდებოდეს ასეთი პირობები, განა ჯ — შვილივით უნდა უქმ სალაყბო დემოკრატიზმზედ გავიყინეთ და რეალურად არაფერი ვაწარმოვოთ, ან რა წინაგაძნობით მოელოდება პოლიტიკურ პირობების შეცვლას, რომელიც მისცემს უპირატესობას ქართველ ხალხს. ან საღ გონებიან პოლიტიკოსს როგორ ეპატიება იმის არ ცოდნა, რომ მთლიანი ტერიტორია, ეროვნული მილიანობაა მხოლოდ ფუძე, შემდეგში პოლიტიკური პირობების შექმნისათვის და როდესაც დაგვაქუცმაცებენ, როდესაც ცალკე სომხობა, ცალკე ოსობა, ცალკე შიდა გუბერნიების გადმოსახლებულნი დაგვყოფენ და ცალკე უცხო მხარეში ემიგრაცია შეასუსტებს ჩვენი ეროვნული მაჯის ცემას — მაშინ გვიანლა იქნება: წამხდარსა საქმეს რას არგებს მას უკან თითზე კბენანი.

მთელ თავის უთავბოლო წერილს ბ. ჯ — შვილი იმისთანა უპატიოსნო ცილის წამებით აზავებს, რომ პირდაპირ გვრცხვენია, ამაზედ ლაპარაკი: „დღეს კი „კლდე“ გვირჩევს, მოუსპეთ ოსებს საშუალება ადამიანურ არსებობისა“, „კლდე“ წინააღმდეგია ხიზანთა ინსტიტუტის ლიკვიდაციისაო და სხ. და ეს მაშინ, როცა პირველ მის ინსინუაციების შემდეგ ჩვენ № 12-ში ვწერდით: „სიხარულით უნდა ვეგებებოდეთ კანონის საუკეთესოდ შეცვლას და არა საუკეთესოდ დარღვევას, — რასაც ხაზს უსვამდით... — რადგან ასეთი აზრი (ლიკვიდაციის წინააღმდეგ) ჩვენ არსად გამოგვითქვამს, აძულებულნი ვართ ვიფიქროთ, რომ გაზეთმა (ს. გ.) ეს დასკვნა თავის საკუთარ თათიდან ამოსწოვა.“ და როცა ასეთ განცხადების შემდეგაც იმეორებს არ. ჯ — შვილი თავის ცილის წამებას — ჩვენ არ შეგვიძლიან ასეთი საქციელი უადრესი სიტყვით არ აღვნიშნოთ და მოვითხოვოთ გვიჩვენოს ჯ — შვილმა ის ადგილი ჩვენ ჟურნალში, საცა ჩვენ ან პირდაპირ, ან ნართაულად, გადაკვრით გვეთქვას, რომ ხიზანთა ინსტიტუტის ლიკვიდაციის წინააღმდეგნი ვართ, ან ვისმე ურჩევთ „მოუსპეთ ოსებს საშუალება ადამიანურ არსებობისაო“ — ეს მტკნარი პროვოკატორული ხრიკია ჩვენი საზოგადოების და ოსების წინაშეც. და სანამ ბ. ჯ — შილი არ გვიჩვენებს ასეთს

ადგილს ჩვენ წერილებში, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ მის საქციელს უპატიოსნობა ვუწოდოთ. ჩვენ კი გულახდილად გამოვთქვამთ ყველა ჩვენ აზრს და ქართველი ერის წინაშე პირბადის აფარება არა გვჭირია, მაგრამ რად დასჭირდა ბ. არ. ჯ—შვილს ჩვენთან საბრძოლველად ასეთი დემოგოგიური და არა საკადრისი საშუალებანი, არ გვესმის; იმისა არ იყოს, რომ თაღლითურად მოგვაწერა, ვითომ ჩვენ, რუსეთში ბევრ დემოკრატიულ კანონებს ვხედავთ.

შეიძლება ჩვენ ვცდებოდეთ, შეიძლება ჩვენ კარგად არ გვესმოდეს ეროვნული პრობლემის საკითხი და არ. ჯ—შვილის ბრძნულმა კამათმა გამოგვირკვიოს, მაგრამ როცა ჯ—შვილები განზრახ გვიმახინჯებენ აზრსა და საზოგადოებას ყალბად აცნობენ, ჩვენ გვიკვირს, როგორ უთმობენ ადგილს მის წერილებს განახლებულ რედაქციაში

ჩვენ არ გვიკვირდა, როცა ბედაურები სხვაგან იყვნენ და არ. ჯ—შვილს დარჩა მოედანი თვისი უფიცობის და უპატიოსნობის გამოსაჩენად, მაგრამ ჩვენ დიდათ გვიკვირს ეს ამბავი ეხლა, თითქო არსებული ორგანიზაცია და ორგანოც კვერს უკრავდეს უდიერ საქციელს. ჩვენ ვიწვევთ მოპირდაპირეებს უკუაგდონ ექვები და თაღლითობა და პატიოსანს კამათში გამოარკვიონ ჩვენი პოზიციები და თუნდ დაანგრიონ ისინი, და არა დახვედრებული სიტყვებით: რეაქციონერები, „პროგრესული ახალგაზრდობა“, თავად-აზნაურული იდეოლოგები და სხ., რაც საკითხს ამწვავებს, აბნელებს და მთავარ დებულებას საზოგადოების წინაშე ყოველთვის უსიამოვნო ელფერსა სდებს. მეტი გამბედაობა, მოქალაქენო, მეტი პატიოსნება და გულწრფელობა, მეტი დაკვირვება რეალურ ცხოვრებისა და იქნება სიმართლეს თქვენც მიაგნოთ.

რ. გ.

### ზატარა ციკლოპები

ოდესღაც ქვეყნად უცნაური ადამიანები სცხოვრობდნენ. მათი განსაკუთრებული თვისება ის იყო, რომ ცალთვალანი იყვნენ. სახელიც უცნაური ჰქონდათ — ციკლოპი!

მაგრამ ცალ-თვალობა მათ არაფერს უშლიდა. ხედავდნენ სამაგალითოდ და თუ გნებავთ ამ ცალ-თვალობაში ერთგვარი ეკონომიაც იყო.

ასე მაგალითად ვაღვიძების დროს მათ სრულიად არ სჭირდებოდათ ორივე თვალის გახელა, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს.

გახელდნენ ერთ თვალს და უკვე დილა! დახუჭავდნენ ისევ იმავე ერთ თვალს და უკვე ღამე იყო! ტიროდნენ ნაკლებ, რადგანაც სად ერთი თვალის ტირილი და სად ორისა!

და ატარებდნენ მონოკლს... მონოკლი ციკლოპების დროს არი მოგონილი! როგორც ხედავთ, მათ შექმნის დროს ბუნება ხელმძღვანელობდა ენერგეტიულ თეორიის უდიდესი პრინციპით:

ერთის თვალით იმის დანახვა, რასაც სხვები ორითაც ვერა ხედავენ!

მაგრამ ამ ეამად მე მაინტერესებს, ის ერთი თვალის ციკლოპებს რომელი ჰქონდათ.

მარჯვენა თუ მარცხენა?

ამ კითხვას პარტიულ ფსიხოლოგიის თვალსაზრისით დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ასე მაგალითად:

თუ ციკლოპებს თვალის მხოლოდ მარცხენა ჰქონდათ, მაშინ ისინი ზოგიერთ პოლიტიკურ მემარცხენეს წინაპრებად უნდა ჩაითვალოს.

ასეთი პოლიტიკური მემარცხენენი კი ჩვენში მრავლად არიან. მემარცხენეობა ჩვენში ისეთივე დეაწლი და რაინდობაა, როგორც ოდესმე მარლისათვის აღზევანს წასვლა.

ჩვენში ისეთი მემარცხენენი არიან, რომლებიც მარჯვენა ტროტუარზედაც არ გაივლიან.

— რათა?

— კომპრომისი გახლავთ?

— გნებავთ თამბაქო? ეკითხებით მემარცხენეს და აწვდით პაპიროზს მარჯვენა ხელით ესე იგი მიღებულის წესით...

— მე მარჯვენა თამბაქოს არა ვწევ...

გეუბნებით მემარცხენე და მარცხენა ხელით მარცხენა ჯიბიდან მარცხენა პაპიროზს იღებს

და ბოლსაც ტუჩის მარცხენა მხრიდან უშვებს. მაგრამ საქმე მარტო ამით არ თავდება.

ხშირად შეხვდებით ადამიანს მარტოდენ მარცხენა ხელით.

— მარჯვენა? ეკითხებით გაოცებული.

— ღირს განა მარჯვენა ხელის ტარება! გეუბნებათ მემარცხენე ზიზლით და თან გამჩნევიან, რომ მას არამც თუ მარტო მარჯვენა ხელი აკლია, მარჯვენა ფეხიც.

— ღმერთო! ფეხი, თქვენი მარჯვენა ფეხი?

— მოვიჭერი!

— რათა?  
 — ვილას დააქვს ეხლა მარჯვენა ფეხი, ეხლა მემარცხენეობის ეპოქაა!  
 და მარცხენა კაცი ისე ტრიალებს თქვენ წინ როგორც კარუსელი. ამასთანავე თქვენ თანდათან რწმუნდებით რომ თქვენ ნაცნობს აკლია ყველაფერი მარჯვენა.

- სად მიხვალთ?
- მარცხნივ!
- სადა სდგებართ?
- მარცხენა ქუჩაზედ.
- რას აკეთებთ?
- მარცხენა საქმეს.
- ღმერთო! ამბობთ თქვენ და იწერთ პირ-ჯვარს... რასაკვირველია მარჯვენა ხელით.

მარცხენა კაცს ეს აღელვებს.  
 ერთი ასეთი მემარცხენეა ბ. არ. ჯ—შვილი.  
 იგი პუბლიცისტია!  
 და ყველაფრიდან ეტყობა, რომ თავის წერი-ლებს მარცხენა ხელით სწერს რადგან ჯერ მისი ხელიდან მარჯვე არა გამოსულა რა.

ცხოვრების ბრძოლას იგი უკიდურეს მემარ-ცხენედ გაუხდია და ამ მარცხენა ბრძოლაში მან დაჰკარგა მთელი თავისი მარჯვენა მხარე:

- მარჯვენა ხელი.
  - მარჯვენა თვალი.
  - მარჯვენა ყური.
  - მარჯვენა ქკუა.
- და ასე გასინჯეთ მარჯვენა ნესტოც!

ცხოვრებამ მისგან მარცხენა კაცი შექმნა.  
 სძინავს მარცხენა გვერდზედ და ხედავს მარც-ხენა სიზმრებს

ხედავს მარცხენა თვალით და მარტო მარცხენა მხარეს  
 ფიქრობს მარცხენა ქკუით და მარცხენა საქმეზედ.

დადის მარცხენა ტროტუარზედ და მარცხენა ფეხით და ძალიან ნანობს, რომ ბუნებამ ორი ენა არ მისცა, მარჯვენა და მარცხენა, რომელთაგან მარჯვენას უსათუოდ ძაღლებს გადაუგდებდა.

როგორც ხედავთ არ. ჯ—შვილი ნახევარ ადამიანია.

მაგრამ მთლიან რამეზედ კამათი ძალიან უყვარს. ტერიტორიის საკითხი მას ციკლოპთა საკითხად მიაჩნია და მედიდურად გვეუბნება:

— ტერიტორიის საკითხით მე დაინტერესებუ-ლი ვიყავ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჟურნალი "კლდე" გამოჩეკილი არ იყო.

მაგრამ განა ჩვენ იმაზედ ვკამათობთ, ციკლოპი უფრო ადრე იყო თუ ადამიანი?

არ. ჯ—შვილი, როგორც ჭეშმარიტი ციკლო-პი, რასაკვირველია, ჩვენზე ადრე ცხოვრობდა უწი-ნარეს ყოველთა საუკუნეთა!"

მაშინ როცა თვით ტერიტორიაც არ არსე-ბობდა.

მაგრამ დასვენა?..  
 დასვენა ერთია:  
 როგორც ნახევარ ადამიანი, როგორც მარტო-ოდენ მარცხენა კაცი, ყოველივე მარჯვენას მოკლე-ბული, ყველაფერს ნახევრად ხედავს.

ფარსმან-ფარუხი.



# ამბავი გაქსუებულ ადამიანისა და სამარტელ გოგონასი

(მოთხრობა ჯეკ ლონდონისა)

ურთა სმენს აღარ იყო. ცალკე ცხენების ფეხის თქრათქური გაისმოდა, ცალკე მუერმუების უვირილი; ხიდზე უურძნით ძალზე დატვირთული ურძები მიდიოდ-ნენ და საშინელი რახარუნი გაჰქონდათ. ის კი გულ-დაღმა იწვა და მაგრა ეძინა.

თავი ჭვეშამოდებულ გაზეთის ფურცლიდან გადა-ცურებოდა და აწეწილი და დაუვარცხნელი თმა მზისაგან მოხრეკულ ბალახებში გაჰხლართოდა. ღამაზს ვერ ვეც-ოდით: კბილები აკლდა და ნახევრად ღია პირიდან აქა-იქ მაკად უჩანდა სისა; ხრინწიანი ხმით სუნთქავდა; დრო-გამომშვებით რაღასაც ზმუოდა; შოული ტანი უკ-რთოდა, ედმიჭებოდა. წამდაუწუმ თავს იქნევდა.

ეტუობოდა, ძიღში ვერ ისვენებდა; გულში ღელავდა და მზე და ბუნებაც აწუხებდა — მზე სხივებს აყრიდა სხეზე, ბუნებები კიდევ ხან ცხვირზე აცოცდებოდნენ, ხან ღოყებზე და ხან ქუთუთოებზე.

ერთ ზატარა ყელზე იწვა. ცალ მხრივ ვული მდი-ნარის ტეიან სანაზირებისაკენ ეშვებოდა ერთხაზად, ცალ მხრივ კიდევ ღობიან იყო შემოფარგლული. ღობე მთლად გაბარდნული ჭაგნარით იყო დაფარული; შიგ და-ტანებული ზატარა ჭიშკარი ძღავსდა მოსხანდა. ღობის იქით ზატარა ღამაზი კალიფორნიული სხელი იყო ამარ-თული.

ჭიშკარი ოდნავ გაიღო და ვულზე ასეთი მშვენიე



რო გოგონა გამოვიდა, რომ მარტო სურათზე თუ, თორემ სხვაგან ვერსადა ნახავდით იმისთანას. რვა წლის იქნებოდა, შეიძლება ცოტა მეტიც ან ნაკლებიც იყო. თუმცა მეტად ნაზი ტანი და მწია ფეხები ჰქონდა, მაგრამ სისხლნაკლებულაბა კი არ ეტყობოდა. ღამაში ქერა გოგონა იყო, თავზე თქროსფერი და ნაშალი აბრეშუმით რბილი თმა უყარა და დიდრონი ლურჯი თვალები ხშირი და კრძელი წამწამებითა ჰქონდა დახრდილული. მარჯვენა ხელში მწია საბავშვო ქოლგა ეჭირა.

ღობის გაუფლებზე შესამედ და უკანასკნელად ევადოდა უახლო მიმავალ წლის ჯერობაზე. ბავშვი თან ევადოებსა ჰკრეფდა და თაიგულსა ჰკრავდა, თან ფრთხილობდა ქოლგა არ გამოედო შტოებისათვის და არ დაეფხრა.

გოგონამ შემოურა ველს და მძინარე ადამიანს კი წააწეა თავი. მძინარე შესდგა და ცნობის მოყვარეობით დაიწყო ცქერა. ოდნუადაც არ შეჰქინებია. მერე მობრუნდა და წასვლა დააპირა, მაგრამ კაცმა მოუსვენრად გაიქნ-გამოიქნია თავი; ბავშვი მხალხლ ამ წუთას მიხვდა რანაირად აწუხებდა მძინარეს მზე და ბუხები. სახე უცბად მოედრებოდა და მზრუნველობა აღებუტდა ზედა; თითის წვერებით მიუახლოვდა ადამიანს, დაუხრდილა ქოლგით და ბუხები გაურეკა: ბოლოს ცოტა, ფიქრის შემდეგ გვერდითაც მოუჭდა უცნობს.

ერთი საათის განმავლობაში გოგონა მარტო იმასდა აკეთებდა, რომ ხან ერთ ხელში იჭერდა ქოლგას და ხან მეორეში. მძინარემ უფრო წუნარად და სწორედ დაიწყო სუნთქვა—მზე და ბუხები აღარ აწუხებდნენ. ხანდისხან კი საშინლად აკრატუნებდა და ატრიალებდა კბილებს, სახეზე ველური გამომეტყველება დაემჩნებოდა ხოლმე, ქუთუთოები უკანკალებდა, გეგონებოდათ ან ეხლა გახელს თვალებს, ან ეხლა, მაგრამ თვალების გახელის მაგიერ პირს ადებდა, ტუჩებს ამოძრავებდა და ხურხურებდა: არა, არა და არა! ღმერთს გეფიცებით არა! შეგიძლიანო ნაჭერ-ნაჭერ ამეუწოთ, სულ წვეთ-წვეთად სისხლიდან დამცადეთ, მაგრამ მე მაინც არ გავცემო.

გოგონა გაკვირვებული უცქეროდა დადგრემილ, ტლახქ პირისახეს. ცდილობდა ამ ადამიანისათვისაც რაიმე კუთხე მოეძებნა იმ მწაწინა ქვეყნიერებაზე, რომელსაც თვითონ იცნობდა.

კალიფორნიის ზაფხულის სულის შემსუთავი დღე იდგა. შტრედისფერ ცაზე სუბუქი ღრუბლები დასრიალობდნენ; დასავლეთით შავ ღრუბლებს მოკვარათ თავი და წვიმას ეპირებოდნენ. უცბად სადღაც ხელის ფუტკარმა გაიზუზუნა უხალისოდ, ბუჩქებში მწერების ჭუკჭუკი გაისმა, ქარმა კიდევ ტორღლების გაღობა მოიტანა მინდვრებიდან. მაგრამ მწაწინა, ქურდობაცა, № 4379

კატორღელი როს მანკლინი ამას ვერაფერს ვერძნობდა.

ბედი არ სწვლობდა როსს. ჩვიდმეტი წლისა სამართალში მისცეს—შვიდი ცხენის მომარაგებად დაიწყო; თუმცა თვალთადაც არ ეჩახა ეს ნაქერდალი ამ კაცსა, მაგრამ თათხმეტი წელიწადი კატორღა მაინც გადაუწვიტეს. მოსამართლე სასჯელის რაოდენობის დაკვლად იღებდა გასამჯელის და ამიტომ ასეთი გულუხვობა გამოიჩინა როსის საქმეში. საზოგადოებრივი აზრი კი ერთი წლით დაზარალებულსავე სკამარისად სთვლიდა.

კატორღაში როსს ველურად, არაადამიანურად ეზერობდნენ, რის გამოც ხალხი მოიძულა, ბრძოლა გამოუცხადა უველას და შურის ძიებას შეუდგა.

ბევრი საშინელი რამ გადახდა როსს სიცოცხლეში: საშურობილედან გაქცევა გინდა თუ საშურობილეში აჯანყება, უველაში წილი ედო. გაქცევის დროს თერთმეტი ამხანაგი მოუკლეს. რამდენჯერმე სიკვდილით დასჯაც მოელოდა როსსა.

როსმა ადამიანის სულის სიფერაკეც იგემა და სულის სიმკაცრეც, მაგრამ სიცოცხლის სიფერადი მაინც არ ჩაიკლა გულში. განთავისუფლებამდე სულ ბრძოლაში იყო, სულ შურის ძიება და იცავდა თავის უფლებას. როცა გამოუშვეს საშურობილედან, ხუთი გირვანქა სტერლინგით დააჯილდოვეს და ასე აუნაზღაურეს ახალგაზრდობა, ადამიანის სიცოცხლის საუკეთესო დრო, რომელიც ციხეს შეაღია. განთავისუფლების შემდეგ როსი ცოტას მუშაობდა; უფრო წინწალში, მათხვრობაში და ქურდობაში ამხსნიდა სული. ხშირად სიკვდილით აშინებდა ხალხს და ისე ართმევდა ფულებს. ბევრსაც სჯამდა.

როცა როს მანკლინმა გაიღვიძა, თავის თავზე ქოლგა დაინახა. მზის სხივები აღარ აწუხებდა. ქოლგიდან თვალი ნაზ მწია თითებს და მკლავებს ააყოლა და ბავშვის სახეზე გადავიდა. კაცმა პირდაპირ, მოურიდებლად ჩახედა გოგონას თვალებში. ბავშმა ერთბაშად სიცვი იგრძნო ტანში; მოეფარე ცივი და მკაცრი თვალებისა შეეშინდა, შიგ ვერ დაინახა ის ნაზი შექმნილი სხივები, რომლებსაც თავისიანების თვალებში ჰხედავდა ხოლმე, და თავი გვერდზე მიიღო. ეს თვალები იყო ნამდვილი კატორღელისა, ცხვრებას მოწვევითად ადამიანისა, რომელიც გადაჩვეულიყო ღამარაკსა, რომელსაც იქნება ადამიანურ ღამარაკის ძირითადი წესებიც აღარ ახსავდა.

— რა ამბავია?—ეკითხა მწაწინა ღამარაკის და მკაცრი ხმითა.—თამაშობთ, თუ რა არის?

— როგორა გრძნობთ თავს?— შეკითხა ახლა გოგონა. — მე როდი ვთამაშობ. მზე პირდაპირ სახეში



გინათქმის. დედა ამბობს მზეზე ძილი მავნებელია. ხარხარად, ხაზად შემოესმა რასს ბავშური გამოქმა: სიამოვნება იგრძნო: გაუკვირდა, რომ წინედ უურადღებს არ აქცევდა ბავშურ ხმის ასეთ თავისებებს. ნელ-ნელა წამოიწია და დაუწყო გოგონას უურება, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა, გაუძნელდა.

— მგონი, კარგად გეძინათ, არა? — უთხრა ბავშმა. რასი სტკბებოდა ბავშვის ცქერით.

— ჰო, — უპასუხა მოკლედ. — დიდხანს იჯექით მაგრე?

— დიდხანს, ძლიერ დიდხანს. მეგონა, თავის-დღეში აღარ გაიდვიდებდით.

— შე კი, როცა გამაფიდვიძე, ფერია შეგონეთ.

— შე კეთილი სამარიტელი ვიყავი! სთქვა გოგონამ.

— რას ნიშნავს ეგა? — ჰკითხა რასმა და განუმ-და.

კაცი თავს იმტურევედა, არ იცოდა როგორ განეკრძა ღაზარაკი. კაი ხანი იყო რაც ბავშვებთან აღარ ელაზარაკა და ესლა ეს საძნელა საქმედ მოახსნა.

— რა სასაცილო ხართ! ნუთუ არაფერი იცით კეთილ სამარიტელზე? განა არ გახსოვთ? ერთი კაცი მიდიოდა ერთხ...

— თითქმის მახსოვს: მეც იქ ვიყავი...

— შე კი არ ვიცოდი, რომ თქვენ მოგზაური იყავით, წამოიძახა ბავშმა და შემოჰკრა ტაში. — მაშ ასე! ის აღმიახი უახადებს ჩაუვარდათ, მიამკვდარეს და ისე დააგდეს; კეთილმა სამარიტელმა იბოფა, წელულები შეუხვია...

— წელულები შეუხვია? — შეეკითხა მაწანწალა. თუ არა ვცდები, ოდესღაც მეც გამოვიდა ეგ ამბავი, მაგრამ იცით რა, ეგ მართალი არ არის; სამარიტელები ქვეყანაზე არც უფიქრან და არც იქნებიან. მთელი ჩემი სიცოცხლე იმათ ძებნაში გაატარე, მინდოდა ერთი მაინც მეპოვნა, მაგრამ ვერ ვიბოფე.

— შერე, შე? — სჩქაროზე შეეკითხა გოგონა.

რასმა გაოცებით და ცნობის მოუვარეობით გადახედა თავის ზატარა მოსაუბრეს. ბავშვის უური ისეთი გამჭვირვალე იყო მზეზე, ისეთი გამჭვირვალე, რომ თითქმის შეიძლებოდა რამე დაგენახათ მასში. მშვენიერმა სახემ, ღურჯმა თკლებმა და ოქროსფერ თმების ბზინვამ მაწანწალას ახტაცება მოჰგვარა. რასმა ჯერ თავის თითქმის არააღმიახურს, კუნთებიან უშველებელ ხელს გადააფლა თვალი, შერე ბავშვის ხაზ ხედსა, რომლის კანის ქვეშ თითქმის სისხლის მიღების მოძრაობა შეიძლებოდა გაგერხიათ. ტუსადად ჩამოფი თავის ტვინს ჩვეულებრივ მიმართულებას აძლევდა. მოაგონდა

უკვლა ის ჭირი, რომელიც მისთვის მიეუენებინათ, ეწვნიებინათ და გაიფიქრა, უკვლას, უკვლას შეუძლიან ეს მომხიბლავი გოგონა მტურად აქციოს... თვით უუძლურესსაც კი იმ აღმიახებს შორის, რომელიც ცხადურების გზაზე შე შემომხვედრია. შიზ-ნიქოთი...

— შერე, შე? — აციფლებოდა გოგონა, — განა შე არ ვიყავი კეთილი სამარიტელი?

რასი გონს მოვიდა, უფრო სწორედ რომ ესთქვათ, თავის თავს მოჰშორდა — შეეშინდა, ემანდ ღაზარაკი მალე არ შესწედეს.

— რა? — შეეკითხა ბავშვსა. — ჰო, მართლა, თქვენ სამარიტელი იყავით.

რასს კიდევ მოაგონდა თავის ფიქრები.

— თქვენ არ გეშინიანთ? — შეეკითხა კიდევ ბავშვსა.

ბავშვმა გაკვირვებით გადააფლა თვალი.

— ჩე... ჩემი, დაუმარტა საცოდავის ხმით რასმა. ბავშმა გულისხმად გადინარხარა.

დედა შეუბნება, თავის დღეში არაფრისა უნდა ეშინოდეს აღმიახსა. შეუბნება, თუ აღმიახებსე იფიქრებ, რომ ისინი კეთილები არიან, კეთილები იქნებიან. აღმიახმა აღმიახზე მუდამ კარგი უნდა იფიქრას.

— შერე თქვენ კარგი გაიფიქრეთ ჩემზე, როცა დამინახეთ და მზისაგან და ბუზებისაგან დამიფარეთ? — ჰკითხა კატორღელმა.

— მაინცა და მაინც თქვენზე უფრო კარგი გავიფიქრე, სანამ საძაგელ ფუტკრებსე, — გამოუტყდა გოგონა.

— მაგრამ, ხომ ფუტკრებსე უარესი ხალხიც არის?

— დედა შეუბნება, ეგ ტუუილიაო. შეუბნება, უაფელ აღმიახში ერთი რაიმე მაინც არის კარგიო, თავისი კარგიო.

— ჰო, მაგრამ დამე ხომ მაინც უთუოდ მაგრა ჰქეტავს ხოლმე კარეს?

— არა, მაგრა არა! სულაც არა ჰქეტავს კარებს, დედას არავისი ეშინიან და სცა შე მინდა, იქ მიშვეებს სასეირნოდ. იცით, ერთხელ უახადი შემოიძარა ჩუქსა. დედა ადგა ღოგინიდან და დაიჭირა. შერე რა გგონიათ თქვენს! ის სულაც არ იყო უახადი, სამდვილი დარბიი აღმიახი იყო. დედამ ასვა, აჭამა და სამუშაოდ უშოფა.

ირ. სონლულაშვილი.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი

რ. ვაბაშვილი.

## !!40 ДНЕЙ БЕСПЛАТНО!!

Если вы в течение 40 дней не выучитесь свободно говорить, читать и писать по немецки, французски, английски и латински по нашим самоучителям, составленным по новейшему методу (всё другое реклама),

деньги возвращаемъ обратно.

Цена самоучит. одного языка съ перес. налож. платеж. 1 руб. 10 коп. 2-хъ 1 р. 90 к., 3-хъ 2 р. 80 коп., 4-хъ 3 р. 65 к. Зказы исполняютъ единств. складъ для всей Россіи С-Петербургъ. Петерб. стор. Большой пр., 56-1 Я. К. ПЕТЕРСЪ.

### 1-е ЗАОЧНЫЕ КУДИНАРНЫЕ КУРСЫ

Полный курсъ лекцій для самообученіе „скоромный и постный столъ“, около 100 рецептовъ кушаній, напитковъ, печенья, компотовъ, вареній, сладкихъ бѣлъ пироговъ и др. 300 стр. убористаго шрифта. Цена съ перес. нал. плат. 2 р. 60 к. НАСТАВЛЕНІЕ, какъ правильно вести домашнее хозяйство и приготовить экономическіе вкусные и питательные обѣды съ приложеніемъ разрѣзки мяса и украшеніемъ стола и блюдъ. около 100 стр. съ рисунками. Цена 1 р. 20 к. обѣ книги вмѣстѣ 3 р. 35 к. (можно марками) Съ заказами обращаться исключительно къ Я. К. ПЕТЕРСУ. С.-петерб. Петр. стор. Большой пр. № 56-1

### ПОЛЬЗУЙТЕСЬ СЛУЧАЕМЪ

Поступили въ продажу по удешевленной цѣнѣ 3 большихъ тома около 800 страницъ, убористаго текста.

## ПОСМЕРТНАЯ художественныя произведѣнія

гениальнаго писателя

## Л. Н. ТОЛСТОГО

Высылаемъ съ пересылкой паложенымъ платежомъ вмѣсто 3 р. 50 к. за 2 р. 50 к. или по полученіи всей стоимости, можно марками, заказы выполняетъ единственный складъ для всей Россіи.

СПБ., Пет. ст., Большой пр., № 56-1  
Я. К. ПЕТЕРСЪ.

Въ истинный моментъ кровавыхъ воєнъ въ Турціи и на Балканахъ нѣтъ болѣе прѣмьной и занимательной книги для чтенія, поименно невѣроятныхъ доблестей и политическихъ интригъ и разоблаченій жизни мусульманскаго Востока, соединившагося съ цивилизаціей Запада, какъ сенсационнѣйшій романъ

## «ТУРЕЦКІЙ СУЛТАНЪ»

— ИЛИ —

„Тайны Константинопольскаго Двора“

популярнѣйшаго въ Европѣ романиста-историка

## ГЕОРГА БОРНА.

Свыше 1.000 страницъ убористой и чистого большого формата на роскошной бумагѣ.

Въ виду ограниченнаго количества остающихся экземпляровъ этой замечательнѣйшей книги, предлагаемъ послѣдовать съ заказомъ на книгу, которая высылается НЕМЕДЛЕННО по полученіи 3 руб. (съ упаковк. и пересылкою) или налож. платежомъ при заѣмкѣ въ 1 руб. (можно плат. в гербов. марками), безъ чего заказы не выполняются.

Всю корреспонденцію; денежную, заказную и простую надлежитъ адресовать:

С ПЕТЕРБУРГЪ

Петерб. Стор., Большой просп. № 56-1  
Я. К. ПЕТЕРСУ.

По удешевленной цѣнѣ!

## ВРЕМЕННО РАСПРОДАЕТСЯ

Вмѣсто 10 руб. за 4 руб. 50 коп.; въ роскошномъ золотомъ тисненномъ переплѣтѣ 7 р. 50 к. 15 Томовъ больш. формата Полнаго собранія Сочин.

## Гюи де-Мопассана

Имя Гюи де-Мопассана гремитъ славой не только среди соотечественниковъ, но и среди всего міра. Достаточно указать на отзывы И. С. Тургенева и Льва Толстого, чтобы судить о томъ высокомъ положеніи, какое Гюи де-Мопассанъ занялъ въ исторіи Всемирной литературы. Памятникъ воздвигнутый ему въ Парижѣ краснорѣчиво говоритъ о славѣ Гюи де-Мопассана. Его произведенія разошлись разновременно болѣе 300 илліонъ въ сотняхъ тысячъ экземплярахъ и изрѣженъ на языки всего міра. Сочиненія его особенно большой интересъ представляютъ теперь, когда такъ много говорятъ о ПОЛОВЫХЪ ОТНОШЕНІЯХЪ МУЖЧИНЪ и ЖЕНЩИНЪ. Въ его романахъ читатель найдетъ разрѣшеніе этого вопроса въ изображеніи правды и действительности. Книжки высылаются наложеннымъ платежомъ.

Задатокъ въ размѣрѣ 2 руб. 50 коп. прошу выслать, можно марками почтовыми или гербовыми, безъ чего заказы не выполняются.

Единств. Складъ для всей Россіи С. Петербургъ. Петерб. Сторона. Большой пр. 56-1 Я. К. ПЕТЕРСЪ.

